645 / 1986 / 4



ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

9
1986



სკოლისაკენ

კ ბენბიურის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

# პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა




სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მიხეილ გორბაჩოვმა ცენტრალური ტელევიზიით საბჭოთა ხალხს და მსოფლიო საზოგადოებას აუწყა, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით 1987 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმი.

საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას მიეძღვნა ხალხმრავალი მანიფესტაცია, რომელიც გაიმართა თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე.

„შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება"! „არ დავუშვათ ბირთვული იარაღის გამოცდები"! „თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე!" „მშვიდობა მსოფლიოს ხალხებს"! — მოითხოვდნენ მანიფესტაციის მონაწილენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელისო ზერიძე,
საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის
პირველი მდივანი.

# ქალთა მონაწილეობით

„რომელიმე ხალხის, რომელიმე ტომის ასაწონად და დასაფასებლად სრულიად საკმარისია მათი ქალების გაცნობა“, — ამბობდა საქართველოს ბულბული აკაკი წერეთელი.

როგორც საქართველოს ყველა კუთხეს, ბუნების მადლითა და ადამიანის შრომითი შემოქმედებით დამშვენებულ პატარა მარგალიტსაც აქვს რაღაც ენდემური, უხვად მონიჭებული, სხვისაგან გამორჩეული და თავმოსაწონი. მკითხველმა მაპატიოს, ათასჯერ გაგონილი და, ალბათ, საკუთარ თავზე განცდილი ცნობილი შეხედულება უნდა შევახსენო: სხვა სიკეთესთან ერთად უწინარესად ზრდილობითა და სტუმართმოყვარეობით არის ცნობილი მთელი იმერეთი, მაგრამ საჩხერე — განსაკუთრებით. არც ის ჩამეთვლება ახალ აღმოჩენად, თუ ამ კუთხის მოსახლეობისათვის მომეტებულად ნიშანდობლივ ზემოხსენებულ თვისებებს უპირატესად ქალის, დედის დამსახურებად ჩავთვლი, ვინაიდან... „უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა“...

წარსულის ძნელბედობის ჟამს კარჩაკეტილობა, კუთხურობა და პროვინციალიზმი, განუკითხაობა და რუტინა თავისი შინაგანი ბუნების მთლიანად გამომჟღავნებისა და გამოყენების საშუალებას არ აძლევდა დუხჭირ ცხოვრებას შეჭიდებულ საჩხერელ ქალს. და მაინც შეძლო მან ერისთვის აღეზარდა აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ივანე გომართელი, პავლე იაშვილი... აქაური ქალის უტეხ ხასიათზე, მის თავდადებაზე ერთი ასეთი ლეგენდად ქცეული სინამდვილეც ლაპარაკობს, რომელიც რევოლუციონერი ძმების — ბაგრატ, იასონ და ვასილ ხვედელიძეების დედას, ნინო გოგოლაძეს შეეხება: საპყრობილედან გამოქცეული ძმები მშობლიური სოფლის, ცხამის ტყეებში აფარებდნენ თავს. მათ ხელახლა შესაპყრობად გაგზავნილმა მენშევიკური მთავრობის დამსჯელმა რაზმმა დედას შვილების ადგილსამყოფელის გამხელა უბრძანა. მუქარით რომ საწადელს ვერ მიაღწიეს, მას ნატკენ ფეხზე ახალდაჭედილი ცხენი შეაყენეს. მაინც არ გატყდა დედა, გაუძლო არაადამიანურ წამებას და დაიფარა ვაჟკაცები.

სიყვარულისა და ერთგულების განსაზოგადებელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერის ლუბა ჩხეიძის საქციელი: დიდხანს ამაოდ ძებნის შემდეგ მან დიდ სამამულო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეუღლის სიმბოლური საფლავი გააკეთა, რომელიც მარადმწვანე მცენარეებში და ყვავილებშია ჩაფლული...

როცა ოქტომბრის მაცოცხლებელმა მზის სხივებმა საჩხერელი გლეხის ქოხმახებიც გაანათა, ქალებმა კარჩაკეტილობის ოჯახურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმარია საჩხერის რაიონი

ბარიერებს გადმოაბიჯეს და კუთხის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების სამსახურში ჩადგნენ. მათ სუსტ მხრებზე გადაიარა კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებმა. შვიდი ათასზე მეტი რჩეული შვილი გაგზავნეს საჩხერელმა დედებმა სამამულო ომში. ნახევარზე მეტმა, 3700-მა მეომარმა სამშობლოსათვის სიკვდილით უკვდავყო სიცოცხლე.

დღეს საჩხერელი ქალები მეთორმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების შესასრულებლად ილვწიან. რაიონის სახალხო მეურნეობამ წარმატებით შეასრულა ხუთი თვის გეგმა. განსაკუთრებით თვალსაჩინო მაჩვენებლები სწორედ იმ დარგებში და შრომითს კოლექტივებშია მოპოვებული, სადაც ქალების რიცხვი ჭარბობს. ეს შეიძლება ითქვას მეცხოველეობაზეც, სადაც ქალები მშრომელთა და სპეციალისტთა მთლიანი რაოდენობის 60 პროცენტს შეადგენენ. წლეულს ექვს თვეში სახელმწიფოს მიეყიდა 3965 ცენტნერი ხორცი 3600 ცენტნერის ნაცვლად, 15260 ცენტნერი რძე 12400 ცენტნერის ნაცვლად. ერთი ძროხის საშუალო წველადობამ შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 92 კილოგრამით გადააჭარბა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია რესპუბლიკაში.

რაიონის მთავარი მარნის, საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის 700 წევრიან შრომით კოლექტივში 70 პროცენტს ქალები შეადგენენ. მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა რაიონში, სვეტლანა კეიდია ხელმძღვანელობს. აქ პირველად ჩამოყალიბდა უგანრიგო ბრიგადა, რომელსაც პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კპ XXVII ყრილობის დელეგატი, სახელოვანი მევენახე ცისანა დეკანოიძე უდგას სათავეში. შესანიშნავი ოჯახის დიასახლისმა, სამი შვილის ახალგაზრდა დედამ ცისანამ ბრიგადის არსებობის სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 20-დან 45 ცენტნერამდე გაზარდა. მას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა რაიონში. ცხადია, პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ახლებურად მუშაობისა და ეკონომიკის გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგიული კურსის განხორციელებაში თანდათანობით იზრდება ქალთა წვლილი: ისინი მამაკაცების გვერდით ქმნიან სასიკეთო ამინდს რაიონის სახალხო მეურნეობაში. რაიონში კომუნისტური პარტიის წევრია ექვსასზე მეტი ქალი, ოცდაექვსი ქალი პარტიის რაიონული კომიტეტის წევრი და წევრობის კანდიდატია, ორმოცდაათი ქალი კი პირველად პარტიულ ორგანიზაციას, ანუ რაიონის პარტიულ ორგანიზაციების თითქმის ნახევარს ხელმძღვანელობს.

რაიონული საბჭოს 90 დეპუტატიდან 47 ქალია, ადგილობრივი საბჭოების 507 დეპუტატიდან კი — 302, ანუ 59,6 პროცენტი. საგულისხმო ფაქტია, რომ 1985 წლის თებერვლის არჩევნებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის სტატუსი ორ საჩხერელ ქალს, შრომით გამორჩეულ არგვეთელ მევენახეს ბრონიკო შაორშაძეს და კორბოულის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის ახალგაზრდა მეცხოველეს მაია გაფრინდაშვილს მიანიჭა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე რაიონის მიერ წარგზავნილი 7 დელეგატიდან 4 ქალი იყო. მათ ყრილობის სულისკვეთება, მისი მოთხოვნელობა რაიონის შრომითს კოლექტივებში გადააქვთ.

პარტიის რაიონული კომიტეტი, მისი ბიურო პრაქტიკული საქმეებით უპასუხებს პარტიისა და მთავრობის მითითებას იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე უფრო თამამად დააწინაურონ ქალები. ამ ბოლო ხანს 15 კომუნისტი ქალი დაწინაურდა. მომრავლდნენ საწარმოს და საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორი, სასოფლო საბჭოს დარგობრივი და პროფკავშირების თავმჯდომარე, მოსამართლე, მთავარი ინჟინერი, განყოფილების გამგე ქალები.

ამჟამად რაიონის სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა შორის 46 პროცენტი ქალია. მარტო აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის საწარმოებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში დასაქმებულია 2600-ზე მეტი ქალი, რაც მუშაკთა საერთო რაოდენობის 65 პროცენტია. სარეკელი ანგელინა აბრამიშვილი, არგვეთელი გულნარა ძინძიბაძე, მოძვული თამარ ნოზაძე, კორბოულელი იზო გოგოლაძე, სავანელი თინა გაბაძე — აი ერთი ძალიან მცირე ნაწილი იმ დამკვრელებისა, რომლებიც პირველნი გამოეხმაურნენ ქვეყნის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას ხუთწლედის საწყისი ორი წლის გეგმის 1987 წლის 7 ნოემბრისათვის შესრულების შესახებ. ამ ამაგდარი, გამოცდილი მშრომელების ტრადიციების გაგრძელებისა და განზოგადების შესანიშნავ გზას ადგანან კომკავშირელები, რომელთა 6000 წევრიან ორგანიზაციაში — 3500-ზე მეტი ქალთა წარმომადგენელია. ისინი საქმით უპასუხებენ უპირველესი კომკავშირული საზრუნავის — სასურსათო პროგრამის ხორცშესხმას, წარმატებებს აღწევენ მებოსტნე, მეაბრეშუმე, მეცხოველე, მევენახე ქალიშვილთა კომკავშირული ბრიგადები, რომლებიც ახლახან შეიქმნა ქორეთის და ჭალის კოლმეურნეობებში, სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ბოლო წლებში რაიონის შრომითს პროფესიებს შეემატა ფეიქრის პროფესია. საჩხერელი ქალები სამართლიანად მიიჩნევენ მრეწველობის ფლაგმანს — ბამბის სართავ ფაბრიკას ქალთა საწარმოდ.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, საზოგადოებრივი მართვის ყველა რგოლში მუშაობის ახალი მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას დიდად უწყობს ხელს ქალების ენთუზიაზმი. ქალები საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობენ ეკონომიკის, ყოფაცხოვრების, კულტურის, სპორტის განვითარების, სააგიტაციო მასობრივი და იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე.

პარტიისა და მთავრობის მიერ თანმიმდევრულად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დღითიდღე უმჯობესდება საჩხერელი ქალების საოჯახო, საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობები. ამ მხრივ ღრმა სასიკეთო კვალი დატოვა მეთერთმეტე ხუთწლედმა. მარტო შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა სამი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, ახალმოსახლეობა იზეიმა 28 დედამ.

კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები იშლება ახალ ხუთწლედში. მე-12 ხუთწლედის ბოლომდე რაიონის ყველა სოფელში აიგება საბავშვო ბაღებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალი შენობები, გაიხსნება სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები, ავადმყოფებს მიიღებენ საუბნო საავადმყოფოები და სასოფლო ამბულატორიები. აშენდება ჰიგიენის სახლი.

საჩხერელ ქალებს საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმიანობის შემდგომი გაძლიერებისათვის სტიმულს მატებს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ განხორციელდება უფრო მეტი შეღავათები, რათა შეიქმნას ქალთა შრომისა და ყოფის უკეთესი პირობები, ეს კი საშუალებას მისცემს მათ წარმატებით შეუხამონ დედობა შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას.

ისინი სურვილს გამოთქვამენ, რომ იყონ ამ დიდ გარდაქმნათა არა უბრალო შემყურენი, არამედ მათი განხორციელების ორგანიზატორები. ამიტომ არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ რაიონში მტკიცე დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის, ცხოვრების ფხიზელი წესის დამკვიდრებისათვის, ნეგატიური მოვლენების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, უშრომელი შემოსავლის აღკვეთისათვის, მომავალი თაობის იდეურ-ზნეობრივი ფორმირებისათვის.

ქალთა აქტიური ჩარევისა და მონაწილეობის გარეშე, ყველა ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია, რადგან, როგორც დიდი აკაკი იტყოდა, „ის საქმე, სადაც ქალები არ გვირევია, ვერ ხარობს“.

# შემობრუნების ეტაპი დაიწყო...



ლელი ტაბატაძე და ხათუნა მეჭურაშვილი



ლია კაპანაძე

ფოტომასალა საჩხერის რაიონზე მოამზადა დ. იაკობაშვილმა.

ზემო იმერეთის ამ კოპწია კუთხის პატარა ქალაქი საჩხერე უფრო სახელგანთქმული გახდა მას შემდეგ, რაც გასულ ხუთწლედში რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის გიგანტი საწარმო — ბამბის სართავი ფაბრიკა ამუშავდა.

ამ ექვსიოდე წლის წინათ ფაბრიკის ტერიტორიაზე გაუვალი ჭანჭყობი, ალაგ-ალაგ ქვიშის ბორცვები და თხმელნარის ბუჩქნარი იყო. მოუსვენარი ყვირილა დროდადრო ადიდდებოდა, ხან იქით მიაწყდებოდა, ხან აქეთ, ერთიანად წალეკავდა ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდა და შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა...

ვინ იფიქრებდა, რომ აქ ოდესმე ბამბის სართავი მძლავრი საწარმო წამოიმართებოდა!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ საჩხერის რაიონის მშრომელთა წინაშე დიდი პერსპექტივები გადაშალა: დაიწყო ბამბის სართავი ფაბრიკის მშენებლობა. ამით საფუძველი ჩაეყარა რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და, რაც მთავარია, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმის რეალური საშუალება შეექმნათ საჩხერელ ქალებს. საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის დაპროექტების სამუშაოები 1975 წელს დაიწყო, საწარმოს საძირკველი კი 1980 წლის იანვარში გაიჭრა.

გიგანტი საწარმოს მშენებლობაში მონაწილეობდნენ საჩხერელი და ჭიათურელი მშენებლები, ჩვენი დიადი ქვეყნის მონათესავე საწარმოების სპეციალისტები და მუშაოსტატები. ფაბრიკამ პირველი პროდუქცია 1984 წლის იანვარში გამოუშვა. ასრულდა საჩხერელ მშრომელთა დიდი ხნის ოცნება: რაიონის ტრადიციული პროფესიების გვერდით გაჩნდა ახალი სახელი — ფეიქარი.

საჩხერელი ფეიქრები ქალაქის ახალ ქუჩაზე, ფეიქართა ქუჩაზე მდებარე საწარმოს ბატონ-პატრონები გახდნენ და უპირველეს საზრუნავად უნიკალური მანქანა-დანადგარების ათვისება გაიხადეს.

ფაბრიკის ექსპლოატაციაში გაშვებამდე საჩხერეში გაიხსნა 153-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. მას ფაბრიკისათვის კადრების მომზადება დაეკისრა. მასვე უნდა გადაეწყვიტა საჩხერელი ახალგაზრდების მიგრაციის საკითხი.

ჯერ ახალამუშავებულ საწარმოში ტრანსპორტით მომსახურების საკითხი მოაგვარეს. მუშა ქალებისათვის ცვლაში მისაყვანად და ღამის ცვლიდან შინ დასაბრუნებლად ავტობუსები დანიშნეს. ამჟამად მუშების განკარგულებაშია 200-ადგილიანი სასადილო, ყოველდღიური მოხმარების სამრეწველო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმარია საჩხერის რაიონი

ნახევარფაბრიკატების მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, მარტივი ტიპის ჯანმრთელობის პუნქტი, ბიბლიოთეკა, კლუბი, ფეიქრები უზრუნველყოფილი არიან სპეცტანსაცმლით, დასასვენებელი ოთახით, საშხაპეებით. მათთვის შემუშავებულია საბინაო-საყოფაცხოვრებო პროგრამა, რაც საწარმოს სიმძლავრეთა ზრდასთან ერთად განხორციელდება.

მალე ჩადგება მწყობრში ფაბრიკის მუშათა შვილებისათვის აშენებული 140-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღი, 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო-ადმინისტრაციული კომპლექსი; საძირკველი ჩაეყარა საბინაო პროგრამით გათვალისწინებულ „არმაზის" ტიპის საცხოვრებელი ბინის მშენებლობას, გათვალისწინებულია სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის მშენებლობა. საჩხერის ბამბის ფაბრიკამ ბევრ ახალგაზრდა ოჯახს მისცა მშობლიურ რაიონში დაბრუნება-დამკვიდრების საშუალება. ამით დასაბამი მიეცა ახალი ოჯახების შექმნას. ფაბრიკის გახსნის დღიდან 98 მუშა დაოჯახდა. მათ შორის თექვსმეტმა წყვილმა ფაბრიკაში გაიცნო ერთმანეთი.

ფეიქარი ქალები ფართოდ სარგებლობენ მათთვის გათვალისწინებული შეღავათებით. შარშან და წლეულს 132-მა ქალმა ისარგებლა ერთი წლის ასაკამდე ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულებით, 3640 მანეთია გაცემული ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ერთდროული დახმარებისათვის, 8506 მანეთი მოხმარდა ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს. 36-მა ქალმა სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის საგზურით ისარგებლა. ფაბრიკა აწყობს მუშად კურთხევის, პირველი ხელფასის მიღების, ბედნიერების დალოცვის საზეიმო ცერემონიალებს, ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრებს, სადღესასწაულო ზეიმებს, ახალგაზრდულ კაფე-საღამოებს, ექსკურსიებს (რესპუბლიკის სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში), ტურისტულ ლაშქრობებს, ატარებს თემატურ კონფერენციებს, ლექცია-მოხსენებებს.

ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია როგორც ოჯახის, ისე ქვეყნისა. სწორედ მისი გამრჯე ხელებით ეჭიდება საჩხერის ფაბრიკა იმ მძიმე ტვირთს, რაც დღემდე ახლავს დაუმთავრებელი მშენებლობის, ასათვისებელი სიმძლავრეების, გაუმართავი ტექნოლოგიური რეჟიმისა და, საერთოდ, ხელმძღვანელობაში არსებული შეცდომების გამო სახელმწიფო გეგმების შესრულებას.

საჩხერელი ფეიქრები თანდათან ძლევენ საწარმოში შექმნილ სიძნელეებს და ენერგიული შრომით საპატიო სახელს იხვეჭენ აქაური მევენახის, მესიმინდის, მეაბრეშუმის, მექანიზატორის გვერდით.

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი არიან: მრთველები — მარინე ზაქაშვილი, დოდო ჭიღლაძე, მაყვალა კურტანიძე, ლელა მეცხვარიშვილი, მაყვალა ფარქოსაძე, გულო ბარამიშვილი, ნარგიზა ნოზაძე; მგრეხავები — ნატო ბერიძე, ლუბა სადღობელაშვილი, იზო გულიტაშვილი, დალი ტაბატაძე, მარინე ხაჩიძე, ელენე ჯოხაძე, ციალა მაჭარაშვილი, ვარდო ფარქოსაძე, თამარ ყიფიანი, ციცინო ტოგონიძე; მხვეველები — ნანული მაჭარაშვილი, გალინა კაპანაძე, ნინო ბიჭაშვილი, მზია კურცხალია, ელისო მარგველაშვილი; მჩეჩავი რუსიკო ასანიძე, მელენტეები — ნუნუ ყიფშიძე, ზოია გულიაშვილი, ნინო მაჭარაშვილი, ქეთინო შუბითიძე; მქსოველები — ლიანა ნოზაძე, გულნაზი მარგველაშვილი, ფერიდა სხირტლაძე.

ფაბრიკის შრომითი კოლექტივი ამაყობს, რომ მისი წევრი, მოწინავე მხვეველი ხათუნა ხომასურიძე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი იყო, მოწინავე მხვეველი ლია კაპანაძე კი რაიონული საბჭოს დეპუტატი და აღმასკომის წევრია.

საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის შრომითი კოლექტივისათვის საწარმოში წარმოშობილი სიძნელეების დაძლევისა და შემობრუნების ეტაპი დაიწყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის საქმიანი სტუმრობის შემდეგ. მუშაობის უკეთ წარმართვისა და არსებული ნაკლოვანებების უმოკლეს დროში აღმოფხვრისათვის ამხ. ჯ. პატიაშვილმა საქმიანი შენიშვნები და მითითებები მისცა ფაბრიკის ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს.

ყოველ ახალ საქმეს სიძნელეები ახლავს თან, მითუმეტეს, ისეთ საქმეს, რომელიც ტრადიციული არ არის რაიონისათვის. საჩხერელი ფეიქარი ჯერ კიდევ ახალშობილია და მუხლს იმაგრებს. მას, უპირველესად, დახმარება, მხარში ამოდგომა სჭირდება, რათა მოკლე ხანში ნამდვილი კვალიფიციური კადრი გახდეს და თავისი მუშური გზნებით რაიონის აღმშენებლობით პროცესს შეუერთდეს.

**ს. მაჭარაშვილი,**
საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

## სიყვარულმა მათქმევინა

### შვილი

მოევლინა ტკივილიან ქვეყანას
ასე ნაზი, სათუთი და წმინდა,
ახლა ჭერქვეშ მეც თავსა ვგრძნობ ნეტარად,
თრთოლვით ვუქსოვ ფაჩუჩებს და წინდას.

ჩვილის სუნთქვა მკერდთან მომესალბუნა,
დედა ვარ და ზმანებები მკლავენ,
ჩუ-ჩუ-ჩუ-ჩუ! ჩურჩულით მესაუბრე,
ანგელოზმა დაიძინა მკლავზე.

### ოცნება

მე ერთი ჩითის კაბაც მეყოფა
ამოქარგული ლურჯი იებით,
გირჩის ქოშები,
ბაბუაწვერას სიფრიფანა საყურე ყურზე,
ყელზე მძივები — ნუშისა და კენკრის მძივები.
თავსამკაულად — ენძელა და ყოჩივარდები,
გულსამკაულად — ქვეყნის დარდები
და სიყვარული ყველაფრის ერთად
გამხელილი თუ გაუმხელელი.

**ბაბო ხვედელიძე,**
პედაგოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთერ სახვაძე

# უხაროდეს ქვეყანას!



მესამე ბაგა-ბაღი ქალაქის განაპირას აუშენებიათ, აღმართის თავზე, თეთრი კარიერის მეზობლად. აივაკებ თუ არა, გრძელი შენობა გამოჩნდება. ეზო დიდია, მაგრამ პირველი შეხედვით კაცს ცარიელი ეჩვენება. გვიან ამჩნევ ახლადგახარებულ მცენარეულობას. ეტყობა, მშენებლები დიდი ხნის წასულები არ უნდა იყვნენ.

უკან, სიახლოვეში, გორებია აქოჩრილი ტყეებით. ჩამუქებული ერთი ბილიკი ეზოსთან ჩამოდის, ზედ პატარების ფერადი მწკრივი მოძრაობს. აი, ისინი სწრაფად ჩამოივაკებენ და ზედ ჭიშკართან შექუჩდებიან. დაწყობილად შემოდიან ეზოში. მხიარულებს, გაბრწყინებულებს ხელში ტრიმლის ტოტები უჭირავთ. ახლად გაშლილ ყვავილებს ვარდისფერი დაუკრავთ. საოცრად ეხამებიან ერთმანეთს ბავშვები, თრიმლის ვარდისფერი და დილის მზე.

სათითაოდ გულში ჩახუტებული ტოტებით ბაღლები შენობაში შედიან, ფეხთ იხდიან, ფაჩუჩებს იცვამენ და მეორე სართულზე თავიანთ დიდ, გაკრიალებულ ოთახში შელაგდებიან.

სულ პირველი, ყველაზე პატარა, სოფიკო ზაბახიძეა, შაბიამნისფერ კაბაში გამოწყობილი, მოუსვენარი და ბედნიერი. სად იყავიო, ეკითხებიან და ისიც პასუხობს: „ექსკულსიაზე“.

მასწავლებელი თამილა იაკობიძე თრიმლის ტოტებს აგროვებს და წყლიან ქილებში აწყობს, მაგრამ ასე ადვილი როდია ოცდაორი ყმაწვილის მიერ „ჩამოზიდულს“ ადგილი მოუნახო. აკი ვერც ხერხდება და მაგიდაზე რჩება დახვავებული. „რა ვქნა, ამათ თვალწინ ვერ გადავყრი“ — ფიქრობს ალღოიანი პედაგოგი, რომელმაც იცის, რომ ბავშვების შრომა უნდა დააფასო, მათი სიხარულით უნდა გაიხარო, მათს სურვილებს პატივი სცე.

ჯგუფი შერეული ასაკისაა. ნახევარი რომ სკოლაში წავა, ნახევარი „შინ“ დარჩება. დაენანებათ ბაღთან განშორება სოფიკო აბაშიძეს, რატი ჭილლაძეს, ინგა მუმლაძეს და სხვათა, თუმცაღა აქ ისინი მხოლოდ შარშან პირველი ივნისისათვის მოიყვანეს, ბაგა-ბაღის გახსნისას, ამ ერთს წელიწადში შეიკრა მათი კოლექტივი ერთად თამაშში, ცეკვა-სიმღერაში, ლექსებისა თუ ზღაპრების მბობაში, ანდაზების, გამოცანების დახსომე-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაში, ერთად პურობაში. მათ ხომ ყველაფერი აქვე აქვთ საკუთრად, როგორც ოჯახში — გასახდელი, ჯამ-ჭურჭელი, მაგიდები, სკამები, ნახატები, ყვავილები... მერე რა გულმოდგინედ აგროვებდნენ პაწია ტოტებს თუ ფესვებს. თამილა იაკობიძეც ისე არჩევდა და ამრავლებდა, რომ წლის ყოველ დროს ერთი რიგი ყვაოდეს, რათა ყმაწვილებს მუდამ თვალწინ ჰქონდეთ მცენარე ცოცხლად, უშუალოდ ალსაწერად, პირველი ცოდნის შესაძენად, ლექსიკის გასავითარებლად.

საწერ მაგიდაზე სქელი დავთარი დევს. საკითხავ მხატვრულ მასალათა კრებული, თამილა იაკობიძის ხელით ლამაზად გადაწერილი. წიგნი ორჯერ გამოსულა შარშან და წლეულს — განათლების სამინისტროს, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის, აგრეთვე მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეცადინეობით, მაგრამ, ეტყობა, იმდენად მცირე რაოდენობით, რომ მასწავლებლებამდე ველარ მიულწევია. კერძოდ, აქ ერთადერთი მიულიათ.

პირველ სართულზე ბაგაა სულ უმცროსებისათვის. ამჯერად აქ დაგვხვდნენ ალმზრდელი და მომვლელი ციალა ძინძიბაძე და ლელა ტუხიშვილი, რომელთაც ხელში აეყვანათ გაჭირვეულებული ჩვილები. აქვე იყო ექთანი ნანა მალარაშვილი გარს შემოხვეული რამდენიმე ალსაზრდელით. ერთ წლამდე მხოლოდ ეს ორი გვყავს, — გვითხრა მან, — დანარჩენი ოცდახუთი კი სამ წლამდე ასაკისაა. როგორც კი წლინახევრიან შვებულებიდან დედები სამუშაოზე ბრუნდებიან, მათ ჩვენთან მოჰყავთ პატარები, ისინი აქ სწავლობენ თითქმის ყველა მარტივ ქცევას — სიარულს, ჩაცმას, ხელ-პირის დაბანას, სუფრაზე ჯდომის წესებს, ითვისებენ ახალ სიტყვებს, იტეხენ ენას. ეჩვევიან ზღაპრების მოსმენას, შინაარსის მზობას, იწყებენ ძერწვას პლასტილინის გამოყენებით, მარტივი დავალებების შესრულებას. გატაცებით ებმებიან თამაშშიც, თუმცა სათამაშოები ჯერჯერობით ცოტა გვაქვს, ახლა გამგე ელენე ცუცქირიძე მათ შესაძენად არის წასულიო.

...პირველი ბაგა-ბაღი ახალი დაფუძნებული რომ არ არის, ამაზე უწინარეს ყოვლისა კარგად გამართული კარმიდამო მეტყველებს. მტკიცე, ლამაზი მოაჯირებით შემოლობილი, ერთიანად მწვანეშია ჩაფლული. მაღალი ხეების ჩეროშიც კი სქელი ბალახი ბიბინებს და აქა-იქ მზისგულზე ვარდები ირხევიან. სათამაშო-სავარჯიშო ხის ნაგებობებიც ალმართულა...

როცა ახლოს გაეცნობით აქაური პედაგოგების მუშაობას, გაიზიარებთ, როგორ გულმოდგინედ ილვწიან გამოცდილთა გვერდით ახალგაზრდები: ზაზო გაფრინდაშვილი, მარინე ზახტურიძე, თინა გულიაშვილი, მარინე კუტალაძე, ახალგაზრდა მეთოდისტის ნინო თოდაძის ჩათვლით. აქ წლითიწლობით დაგროვილა პატარებთან მუშაობის გამოცდილება. მეთოდკაბინეტში თავმოყრილია პედაგოგიური ლიტერატურა, დიაფილმები, სხვა თვალსაჩინოებანი.

პირველი ივლისიდან ე. წ. სამოედნო მუშაობაზე გადავალთო, — ამბობს გამგე ცისანა ნოზაძე, ვინახულებთ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ავალთ კვერეთში, ნორჩი ტურისტების ლაშქრობას მოვაწყობთ ეკლესიის მიდამოებში, ვეწვევით სოფელ კორბოულს, სადაც შინმოუსვლელთა სახლია ომში დაკარგული სამი ძმისა — გალიაშვილებისაო.

ცისანა ნოზაძე თექვსმეტი წელია დაწესებულებას ხელმძღვანელობს. თავდაპირველად ბაღი 100 ბავშვზე გახსნილა და მხოლოდ გვიან დამატებია ორი ბაგის ჯგუფი. ამიტომაც ძალზე ვიწროდ არიან. მაინც წესრიგიანად მუშაობენ, ისე, რომ შექებასაც იმსახურებენ. ამ ბოლო დროს კარგი მზრუნველი გამოგვიჩნდა — მექანიზებული სატყეო მეურნეობაო, — ამბობს გამგე, — იატაკი გამოსაცვლელია, მისაშენებელია სამ-სამი ოთახი ბაგის ორი ჯგუფისათვის, მაგრამ საქმე ისე მიდის, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გაფართოებულშიც ისევ შევიწროებული აღმოვჩნდეთო...

ბაგა-ბაღიდან სამშობიაროს მივაშურე, რათა პასუხი მეპოვა კითხვაზე, გზადაგზა რომ ალმეძრა.

რაიონული საავადმყოფოს მესამე სართულზე კალატოზები, დურგლები თუ მღებავები დაცარიელებულ ოთახებში თავიანთ საქმეს შესდგომოდნენ. დერეფნის სინათლიან მხარეს, სადაც ღია გასასვლელებია, ოთხგან კედლები ამოჰყავდათ. ოთხი პატარა ოთახის შემატება ჩვენთვის დიდი შეღავათია. ამიერიდან ცალკე მოვათავსებთ იმ ავადმყოფებს, რომლებსაც იზოლაცია სჭირდებათ, — ამბობს რაიონის მთავარი გინეკოლოგი ნინო გოშაძე, და დაუმატებს: თუმცა ჩვენი დედები და ახალშობილნი აქამდეც ჯანმრთელნი ტოვებდნენ სამშობიაროს, გართულებები თითქოს არ გვხვდება ხოლმეო. მან დაასახელა ექიმები: მაყვალა კობიაშვილი, ნანა გოშაძე, მარინე ჭილლაძე..., რომლებიც დიდ ამაგს დებენ ამ განყოფილებას.

საუბარს შემოუერთდა რაიონის მთავარი პედიატრი ნათელა ჭილლაძე.

— შობადობამ მატება იწყო. მართალია, დიდ ციფრებს ვერ დავასახელებ, მაგრამ, რაც მთავარია, ძვრა მოხდა — თუ 1982 წლამდე განუწყვეტელი კლების ტენდენცია იყო, 1983 წელს 27 ბავშვით მეტი დაიბადა. 1984 წელმაც თავის წინასთან შედარებით დაახლოებით ამდენივე მატება მოგვცა, ხოლო წლევანდელ ხუთ თვეში შარშანდელთან შედარებით უკვე 20-ით მეტი ახალშობილი გვყავსო.

უხაროდეს ბაგა-ბაღებს, სკოლებს...

უხაროდეს ქვეყანას...

## 1 სექტემბერი — ცოდნის დღე



## ბავშვები მაცოცხლებენ...

— პირველი ჯილდო, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ თავად მიხეილ კალინინმა დამიბნია მკერდზე, — იგონებს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საჩხერის საპატიო მოქალაქე ნინო კონსტანტინეს ასული ძინძიბაძე-დადიანი, რომლის დაულალავი და კეთილსინდისიერი შრომის დასტურია ცხრა სხვადასხვა სახის მედალი და უამრავი საპატიო სიგელი.

საჩხერის მეორე საშუალო სკოლის თემურელთა რაზმის 107 პიონერს, ისე როგორც მშობლიური სკოლის მასწავლებლებთან, ნინო მასწავლებელთანაც ყოველდღიური კონტაქტი აქვთ და ამბობენ: „ნინო მასწავლებლის სახლი ჩვენთვის მეორე სკოლააო და თავიანთ რაზმს „ნინო ბებოს თემურელთა კლუბი“ შეარქვეს. მართლაც, ქალბატონ ნინოს სახლის კარი, ისევე როგორც სკოლისა, ბავშვებისათვის და თვით მასწავლებლებისთვისაც მუდამ ღიაა.

— ჩემი ნამოწაფარი მასწავლებლები და „თემურელები“ რომ არ მყავდნენ, ალბათ ცხოვრება გამიძნელდებოდა, ესენი მიხანგრძლივებენ სიცოცხლეს და მეც მუდამდღე მზად ვარ მათი სამსახურისა და დედაშვილური სიყვარულისათვის, — ბრძანებს ქალბატონი ნინო.

მაყვალა ქიტაძე

# „ორიათასიანთა კლუბი"



მაია გაფრინდაშვილი



ლაბორანტი თინა კაპანაძე და მწველავი ნანული ხალარაშვილი

კორბოული ტერიტორიით, მოსახლეობის ოდენობითა და ეკონომიკით საჩხერის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მძლავრი სოფელია. ახალმა მეცხოველეობის კომპლექსმა, რომელიც 1983 წლის ივლისში შეემატა ადრინდელ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას, კიდევ უფრო მძლავრი გახადა სოფელი. ამჟამად მის წილად მოდის რაიონში წარმოებული ხორბლის 55 პროცენტი, სიმინდის 40 პროცენტი, პირუტყვის საკვებპროდუქტების 35 პროცენტი. მომავალში კომპლექსი სრულ სიმძლავრეში შევა და 2400 ტონა რძეს აწარმოებს, რაც თითქმის გაუტოლდება რაიონში 1986 წელს წარმოებულ რძის გეგმას. (2500 ტონას).

ამჟამად კომპლექსში 1050 სული პირუტყვია. კომპლექსის არსებობის ზუსტად სამი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ყველა სახის გეგმა არ შესრულებულიყოს. ეს ჩვენი შრომითი კოლექტივის და განსაკუთრებით ქალების დამსახურებაა, რომლებიც მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტს შეადგენენ. კოლექტივი ახალგაზრდულია, მისი საშუალო ასაკი — 26 წელია.

# ჩვენი სტუმარია საჩხერის რაიონი

სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებულ ახალ კურსს — გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგიას, კომპლექსის მშრომელებმა გაზრდილი პასუხისმგებლობით უპასუხეს. და აი შედეგიც: წლეულს 6 თვეში 4.130 ცენტნერი რძე, ანუ გეგმაზე 840 ცენტნერით მეტი მიიღეს.

ფერმებში საქმე არ თავდება — საკვები და წყალი, მისასვლელი გზები და ქარსაცავი, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება ყოველდღიურ ზრუნვას საჭიროებს.

კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობებით განებივრებულნი არა ვართ, მაგრამ სიძნელეების მომიზეზებით ჯერჯერობით არავინ წასულა კომპლექსიდან. დღეს არა გვაქვს — ხვალ გვექნება. არ იყო წითელი კუთხე და ბიბლიოთეკა. ერთ დღეს მოვილაპარაკეთ ახალგაზრდებმა, ადმინისტრაციულ შენობაში ორი კარგი ოთახი შევარჩიეთ, სადაც სამუშაო იარაღები და ტექნიკური ნაწილები დროებით ეწყო. მათ სხვა ადგილი გამოვუძებნეთ, კარ-ფანჯრები და იატაკი გადავღებეთ. წითელი კუთხისა და ბიბლიოთეკისთვისაც გამოინახა საჭირო ლიტერატურა და შესაფერისი მუშაკები. გვაქვს ტელევიზორი, რადიო, ჭადრაკი, შაში, ახალი ჟურნალ-გაზეთები.

— თქვენ ინიციატივა და მონდომება გვიჩვენეთ, დახმარება კი ჩვენზე იყოსო, — გვითხრეს მეურნეობის დირექტორმა, პარტიის რაიონული კომიტეტის წევრმა ჯ. მაისურაძემ და პარტიული კომიტეტის მდივანმა უ. ხომასურიძემ.

ინიციატივა და ენთუზიაზმი ჩვენთვის ახალი ხილი არ არის. სწორედ მუშა კაცის დამამშვენებელმა ამ თვისებებმა განაპირობა კომპლექსის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის შექმნა.

ეს ამბავი ასე დაიწყო:

გასული წლის მიწურული იყო. სამუშაოს შემდეგ ახალგაზრდები ერთად შევიკრიბეთ. მოდით, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოვაყალიბოთო, — წამოიწყო მარინემ.

მყისვე მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანს გ. ჩხიტუნიძეს ვუხმეთ. მოგვიწონა აზრი, კომკავშირის რაიკომის ბიუროზე ოფიციალური დოკუმენტი გააფორმა და ახალ წელთან ერთად ჩვენი ბრიგადაც დაიბადა.

ბრიგადირად ახალგაზრდა კომუნისტი მერაბ გოგოლაძე დაგვინიშნეს. მაინც გიყვარს უფროსობაო — იხუმრეს გოგოებმა.

ბრიგადა 13 წევრისაგან შედგება: მერაბ, მარინე, იზო გოგოლაძეები, მაია გაფრინდაშვილი, შალვა მაჭარაშვილი, ნუგზარ სამხარაძე, ლია გულიაშვილი, ციური კილაძე, ლელა სისვაძე, ნანული სალარაშვილი, ვაჟა ბასილაძე. ეკა კახნიაშვილი, მანანა გოგატიშვილი...

მაია გაფრინდაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, იგი იურისტობაზე ოცნებობს. ერთ რამედ მარტო მის გვერდით მუშაობა ღირს. სხვებიც ოცნებობენ სწავლაზე, საღამოობით წიგნებს და კონსპექტებს ჩასცქერიან, დილით კი კომპლექსში მიდიან.

ადრე თითოეული ჩვენთაგანის გეგმა ერთი ძროხიდან საშუალოდ ათას ორასი კილოგრამი რძის ჩამოწველა იყო. ამ ციფრმა თანდათანობით იმატა. ამჯერად ჩვენი ბრიგადის წევრები წელიწადში ათას რვაას კილოგრამამდე რძეს აბარებენ. არც ეს გვაკმაყოფილებს — გადავწყვიტეთ, ჩამოვაყალიბოთ „ორიათასიანთა კლუბი“.

მეურნეობის ხელმძღვანელები დახმარებას არ გვაკლებენ. მიმდინარეობს კომპლექსის გაფართოების სამუშაოები, შენდება ახალი სახბორე 763 სულზე, გამოსაზრდელი. და სხვა კომუნიკაციები. მალე დაიწყება სასტუმროს გარემონტება, მოეწყობა ქალთა ჰიგიენის ოთახი, აშენდება 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, სპორტული მოედნები, გაუმჯობესდება კომპლექსის მშრომელთა სატრანსპორტო მომსახურება.

ამგვარი მზრუნველობა ახალი სიმაღლეების დასაპყრობად განგვაწყობს. გვემატებიან ახალგაზრდები. თუ დღეს კორბოული რაიონის მენახევრეა თავისი ეკონომიკით, ტერიტორიით და მოსახლეობით, გვინდა, რომ ჩვენი ბრიგადა მეურნეობის მერძეული კომპლექსის მენახევრე იყოს.

ესაა ჩვენი მიზანი.

**იზო გოგოლაძე**

კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა — კომპლექსის მერძეული კომპლექსის მუშა, საქართველოს კპ XXVII ყრილობის დელეგატი.

აქ დაიბადა აკაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა



მეჩონგურეთა ანსამბლი

# მისი წარსული და აწმყო

სოფელი არგვეთი ოქტომბრის რევოლუციამდეც კი ბევრი რამით გამოირჩეოდა ზემო იმერეთის სოფლებისგან მოსახლეობა ადრევე ეტანებოდა სწავლა-განათლებას და მშრომელი და გამრჯე არგვეთელი კაცი ბატონყმობის დროსაც კი ცდილობდა თავისი ყოფა უკეთ მოეწყო და კულტურულად ეცხოვრა.

სოფელ არგვეთს არა ერთი და ორი გამოჩენილი ადამიანი მიუცია ქვეყნისათვის. იგი სამშობლოა ცნობილი რევოლუციონერის ლადო იაშვილის, მწერალ პაოლო იაშვილის, პედაგოგ-მკვლევარის სეით იაშვილის, ცნობილი ფიზიოლოგის, პროფესორ დავით იაშვილის, პედაგოგისა და ქართული მეისტორიის მიხეილ აბრამიშვილისა.

არგვეთი ცნობილია თავისი რევოლუციური წარსულით. 1918 წელს აქ პირველად შეიქმნა რევოლუციური შტაბი ბაგრატ ხვედელიძის თავმჯდომარეობით. სოფელში დღესაც ცოცხალი არიან ადამიანები, რომელთაც ახსოვთ, რომ აქ, ალიოშა ჯაფარიძეს გამართული ჰქონდა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა რევოლუციური პროკლამაციები. ამის დასტურია ისიც, რომ სოფელში ერთ ადგილს ახლაც „ნასტამბარს" ეძახიან.

არგვეთი რევოლუციამდე ეკონომიკურად ჩამორჩენილი და კეთილმოუწყობელი იყო. სოფელში არ იყო არცერთი სკოლა, სადაც ბავშვებს დაწყებითი განათლების მილება შეეძლებოდათ თუ არ ჩავთვლით იმ ორ დიდად განათლებულ ოჯახს — იოსებ იაშვილისა და მარიამ აბაშიძისას, რომლებიც გლეხის ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ამ ოჯახებში თავს იყრიდნენ მაშინდელი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებიც, მათთან ხშირი მიმოსვლა ჰქონიათ აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს და ივანე მაჩაბელს. ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში იოსებ იაშვილის ოჯახში ინახებოდა აფიშა, რომელიც იუწყებოდა, რომ 1880 წელს არგვეთის მოწინავე საზოგადოებას გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით მოუმზადებია და დაუდგამს გ. ერისთავის პიესა „გაყრა".

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა სწავლა-განათლებისა და კულტურისადმი, სოფელს 1910 წლამდე არც სკოლა და არც სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ ჰქონდა. 1910 წელს დემოკრატი მღვდლის, იოსებ აბრამიშვილისა და მისი შვილების ინიციატივით სოფელში გაიხსნა ორკლასიანი სასწავლებელი და ამავე წელს წამოიჭრა საკითხი სოფელში ბიბლიოთეკის დაარსებისა. სოფლის მოწინავე ადამიანების, ცნობილი ვექილის მიხაკო მაჭავარიანის, მიშა იაშვილის, პაოლო და სეით იაშვილების შემადგენლობით შექმნილა კომისია, რომელსაც გადაუწყვეტია, მოემზადებინა პიესა, გაემართათ ვახშმიანი საღამო და მისი შემოსავლით გაეხსნათ ბიბლიოთეკა. და, აი, 1911 წელს, მაისში, მთელი სოფლის თანდასწრებით გაუხსნიათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო; გახსნის დღეს შენობა მოურთავთ ყვავილებით და მწვანე ტოტებით, მოუწვევიათ სოფლის მოსახლეობა და ახალგახსნილი სკოლის მოსწავლეები. დამსწრე საზოგადოებისათვის გადაუღიათ სურათები. ამის შემდეგ საზოგადოებას საშუალება მისცემია, თავის სოფელში ჰქონოდა თავშეყრის ადგილი, სადაც ყოველდღიურად იგებდნენ ახალ ამბებს გაზეთებიდან. თვით ბიბლიოთეკის საბჭოც არ იყო უქმად; ამზადებდნენ პიესებს და დგამდნენ წარმოდგენებს. შემოსავლით კი იწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს.

ბიბლიოთეკას 1918 წლამდე უარსებია. 1918 წელს, სოფელში მომხდარი აჯანყების შედეგად, ბიბლიოთეკა მენშევიკურ მთავრობას დაურბევია და შენობა გადაუწვავს, რადგან ეჭვი აუღია, რომ აქ მზადდებოდა აჯანყება.

1921 წლის 17 თებერვლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაიწყო სოფლის აყვავება. პირველსავე წლებში გაიხსნა სოფელში კლუბი და ბიბლიოთეკა, რომელსაც შენობა უსასყიდლოდ გადასცა ანტონ აბაშიძემ... ხოლო მოწყობილობა და ავეჯი ცნობილმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ ვანო გომართელმა. ამ კლუბში შეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიბა პაოლო იაშვილმა სამასი არგვეთელი და მოუწოდა მათ, დახმარება გაეწიათ რიონჰესის მშენებლებისათვის. არგვეთელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ პაოლოს მოწოდებას და მართლაც, მათ თავი ისახელეს რიონჰესის მშენებლობაზე, რის შესახებაც პაოლო იაშვილს დაუწერია ლექსი „სამასი არგვეთელი". აქ, ამ შენობის კედლებში, გადაწყვიტა არგვეთელმა გლეხობამ ერთი, მთლიანი ძმური ოჯახის, კოლმეურნეობის დაარსება, ამ კედლებში დაულოცეს გზა იმ 752 არგვეთელს, რომლებიც უყოყმანოდ გაეშურნენ სამშობლოს დასაცავად დიდ სამამულო ომში და რომელთაგან 460 უკან აღარ დაბრუნებულა.

სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე ამჟამად არის 10 ბიბლიოთეკა, 4 სასოფლო კლუბი და ერთი ცენტრალიზებული კულტურის სახლი ოთხასადგილიანი კეთილმოწყობილი დარბაზით, სადაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის. სოფლის მშრომელები აქ ხვდებიან რესპუბლიკის სახელგანთქმულ კოლექტივებს, ეწყობა შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, საკოლმეურნეო შრომის პირველ კომკავშირლებთან. იმართება ახალგაზრდული კაფე-საღამოები, ლექციები თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე და კითხვა-პასუხის საღამოები. კულტურის სახლთან ნაყოფიერად მუშაობენ სხვადასხვა თვითმოქმედი წრეები, ქორეოგრაფიული და მუსიკალური სტუდიები, ქართული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი, რომელსაც მრავალი ჯილდო აქვს მიღებული მხატვრული თვითმოქმედების რაიონულ თუ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე. კულტურის სახლში წინა პლანზეა წამოწეული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. კულტურის სახლის მთელი კოლექტივი ცდილობს ახალ-ახალი ფორმები გამონახოს მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად. დიდი პოპულარობით სარგებლობს ტრადიციად დამკვიდრებული — „ახალგაზრდობის დღე", რომელიც ივნისის ბოლო კვირას ეწყობა. ამ დღისათვის მთელი სოფლის ახალგაზრდობა ემზადება. იმართება სპორტული თამაშობები, ვიწვევთ მეზობელი სოფლების ახალგაზრდებს, იმართება მასობრივი სეირნობა. დღის ბოლოს კულტურის სახლის დარბაზში ეწყობა კონცერტი-კონკურსი. გამარჯვებული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები ჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებითა და სიგელებით. მიმდინარე წლიდან სოფელში დამკვიდრდება კიდევ ერთი დღესასწაული — პაოლოობა, რომელიც მიეძღვნება სოფლის საამაყო შვილს, პოეტ პაოლო იაშვილს.

**უ. ბარბაქაძე,**
**არგვეთის კულტურის სახლის დირექტორი.**



# კვერეთი

აკაკი წერეთლის სათაყვანებელ სხვიტორიდან მეექვსე კილომეტრზე მდებარეობს კურორტი კვერეთი.

ცადაზიდული მაღალი მთები, ლბილი და ზომიერი ჰავა, აკაკის ბავშვობის „ემბაზი" — მდინარე ჩიხურა, თავისებურ მიმზიდველობას ჰმატებს კურორტს, რომელიც აგერ უკვე 32-ე სეზონია, მასპინძლობს ათასობით სტუმარს. ერთ ნაკადზე აქ 410 ადამიანი ისვენებს. ოთხი საძინებელი კორპუსი, სასადილო დარბაზი, კინოთეატრის შენობა, საცურაო აუზი, სპორტული მოედნები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს ჩამოსულ სტუმრებს გაიკაჟონ ჯანმრთელობა. გასულ სეზონზე კურორტმა მიიღო 4125 დამსვენებელი, რომელთაგან უმეტესობა საოჯახო საგზურით იყო ჩამოსული. დედებსა და ბავშვებს აქ სეზონის დაწყებიდან პირველ სექტემბრამდე საშუალება ეძლევათ ხალისიანი დასვენებისა.

გადმოცემით კურორტ კვერეთის მინერალური, სამკურნალო წყლებისათვის გასული საუკუნის შუა წლებში მიუქცევიათ ყურადღება მის მფლობელ წერეთლებს. 120 წლის წინათ აქ უკვე ყოფილა მოწყობილი გასათბობი და სააბაზანო (პრიმიტიული) ნაგებობები, რომელიც აკაკი წერეთლის მამას, როსტომ წერეთელს ეკუთვნოდა. როსტომი წყლებს ოჯახის წევრებისა და ნათესავ-მეგობრების სარგებლობისათვის იყენებდა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კურორტი დაექვემდებარა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. აშენდა საცხოვრებელი ბინები, სააბაზანოები, საქვაბე, სასადილო და სხვა დამხმარე ნაგებობები, დაარსდა პოლიკლინიკა. 1983 წლიდან კურორტი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს სისტემაში შევიდა. ამჟამად იქ ერთდროულად 100 დამსვენებელი მკურნალობს და იკაჟებს ჯანმრთელობას, წყლით, მასაჟებითა და ფიზიოთერაპიით. აქ მკურნალობენ ქრონიკულ ართრიტებს, ჰიპერტონულ და ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებებს, საშვილოსნოს ანთებით პროცესებს.

როგორც დამსვენებელთა შემოსვლის დინამიკა გვიჩვენებს, კურორტზე მეტი რაოდენობით ქალები ისვენებენ ხოლმე. 1985 წელს მიღებული 869 დამსვენებლიდან 507 ქალი იყო. ასევე მეტია ქალთა რაოდენობა მიმდინარე სეზონშიც.

კურორტ კვერეთის ხვალინდელი დღე უფრო ნათელი და შინაარსიანია, — გვეუბნება კურორტის დირექტორი პეტრე ხვედელიძე. იგი სულ უფრო და უფრო გაფართოვდება, კეთილმოეწყობა და საშუალება გვექნება უკეთ მოვემსახუროთ დამსვენებლებს.

წლეულს ხუთი ჩეხური ტიპის საცხოვრებელი კოტეჯი შეემატება კურორტს. მომავალ წელს კიდევ ორი ასეთი შენობის აგება გათვალისწინებული. აიგება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სააბაზანო-პოლიკლინიკა, რეკონსტრუქცია გაუკეთდება სასადილოსა და საცხოვრებელ კორპუსს.

კურორტს აქვს თავისი პრობლემებიც, რომელთა გადაჭრისათვის დღენიადაგ ზრუნავენ ადგილობრივი და რესპუბლიკური ხელმძღვანელები, ამდენად მისი პერსპექტივებიც ფართო და ნათელია.

კვერეთი — კერა ადამიანთა ჯანმრთელობისა. ბუნების საოცარი სილამაზის ფონზე ამართული სართულები და მასპინძლები გულღიად ხვდებიან სტუმრებს.

**ი. ჭიტაძე,**
**პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გვეწვიეთ სკოლა-მუზეუმში

ორმოცი წელი სრულდება, რაც საჩხერის რაიონის ქორეთის საშუალო სკოლაში დავიწყვეთ ტურისტული სამხარეთმცოდნეო შემკრებლობითი მუშაობა და მოვაწყვეთ, საქართველოში პირველი სასკოლო სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, რომელიც მოზარდი თაობის მეცნიერებათა საფუძვლებით, ღრმა და მტკიცე ცოდნით შეიარაღებისა და კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვან კერად ვაქციეთ.

ახლა ქორეთელ მოსწავლეთა მოღვაწეობა და მათი მუზეუმი ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მუზეუმს აქვს რვა განყოფილება: გეოლოგია-მინერალოგიის, პალეონტოლოგიის, ქვის, სპილენძ-ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფიის და საბჭოთა პერიოდის. მათ ფონდებში ექვსი ათასამდე ექსპონატია დაცული. მათგან ბევრი უნიკალურია. მაგალითისათვის მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს: 16-20 მილიონი წლის წინანდელი ვეშაპის მაგვართა გაქვავებული ძვლები, 25 მილიონი წლის თევზები, 100-130 მილიონი წლის ზღვის ზღარბები, ამონიტები, გელემნიტები, ზღვის შროშნები, მარჯნები, სხვადასხვა სახის მოლუსკები.

ხმელეთის ცხოველთა ნაშთებიდან საინტერესოა სოფ. ქორეთში აღმოჩენილი ლორის წინაპრის — ლისტრიოდონის ნაშთი. ამ ცხოველს უცხოვრია 9 მილიონი წლის წინათ. ეს აღმოჩენა პირველი შემთხვევაა სსრ კავშირში. (შეისწავლა აკად. შ. ამირანაშვილმა). ამის გამოა აღნიშნული სოფ. ქორეთი სსრ კავშირის პალეონტოლოგიურ რუკაზე, როგორც ამ იშვიათი ცხოველის მოპოვების ადგილი.

მუზეუმში დაცულია ხელოვნების იშვიათი ძეგლი — XII საუკუნის ბრინჯაოს სარკე, რომელიც შემკულია სხვადასხვა რელიეფური ორნამენტებით, მითიური ცხოველების გამოსახულებებით და არაბული წარწერებით, (შეისწავლა აკად. შ. ამირანაშვილმა). ასეთი ნივთი დღემდე მხოლოდ ორი იყო მეცნიერთათვის ცნობილი, ერთი მათგანი ლენინგრადის ერმიტაჟშია დაცული, მეორე ლონდონში, ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმში.

ნუმიზმატიკის ძეგლთა კოლექციაში ასობით საინტერესო მონეტაა, დაწყებული ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან, ჩვენი დროის XX საუკუნემდე. მათ შორისაა საქართველოს, რომის, საბერძნეთის, ბიზანტიის, ბოსფორის სამეფოს, სპარსეთის, არაბეთის, მონღოლეთის, თურქეთის და სხვა უძველეს სახელმწიფოთა ფულები. ეს ფულები საქართველოსა და ამ ქვეყნების ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ურთიერთობის უტყუარ დოკუმენტებს წარმოადგენენ.

აი რას წერს ჩვენი მუზეუმის შესახებ შთაბეჭდილებების წიგნში დოცენტი ილია მაისურაძე. „ეს პატარა მუზეუმი ქცეულია ნამდვილ, სერიოზულ სამეცნიერო კერად, საკვლევაძიებო ბაზად, იგი ემსახურება არა მარტო მოსწავლეთა მეცნიერული ცოდნის საფუძვლებით მტკიცედ შეიარაღებისა და აღზრდის საქმეს, არამედ იგი დიდ სამსახურს უწევს ჩვენს სამამულო მეცნიერებას ახალ-ახალ აღმოჩენებსა და გამოკვლევებში".

აქ მოსწავლეები უბრალო შემგროვებლები კი არ არიან, არამედ მასწავლებლის ხელმძღვანელობით ამუშავებენ და სწავლობენ მუზეუმის მდიდარ მასალას. ამზადებენ ალბომებს, წერენ რეფერატებს და სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საკავშირო შეკრებებსა და კონფერენციებში, გამოფენებსა და კონკურსებში, ექსპედიციებსა და ესტაფეტებში.

სად არ გამოუჩენიათ ქორეთელ ნორჩ მკვლევარებს თავი: ნორჩ მხარეთმცოდნეთა საკავშირო კონფერენციაზე მოსკოვში, კიევში თუ ყირიმში; ნორჩ ტურისტთა საკავშირო შეკრებაზე კარპატების მთებში, ლენინგრადში თუ ვოლგოგრადში, ახალგაზრდა გეოლოგთა საკავშირო შეკრებაზე — ურალში.

1964 წელს ისინი მონაწილენი იყვნენ ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII მსოფლიო კონგრესისა (მოსკოვში). აქ ისინი შეხვდნენ ბევრ გამოჩენილ მეცნიერს, მათ შორის ცნობილ ნორვეგიელ მოგზაურსა და მკვლევარს დოქტორ ტურ ჰეიერდალს. 1968 წელს კი ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VIII მსოფლიო კონგრესზე (რომელიც იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ჩატარდა), გაიგზავნა ქორეთელ მოსწავლეთა მუშაობის ამსახველი ფოტო მასალები და რუსულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილი ბროშურები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, ქორეთელთა გამოცდილების საკავშირო მაშტაბით განზოგადოების მიზნით, ქორეთის საშუალო სკოლა შეარჩია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ. მოსკოვში გაიგზავნა თექვსმეტგვერდიანი ალბომი ფოტოსურათებით, სქემებითა და სათანადო ტექსტებით, რომელიც ინახულა და ერთხმად მოიწონა უამრავმა საბჭოთა და უცხოელმა დამთვალიერებელმა. შემდეგ კი ეს მასალები გატანილ იქნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალზე, სადაც მას ასევე დიდი მოწონება ხვდა წილად.

ქორეთელმა ნორჩმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს უძველეს ადამიანთა ოცდაათამდე სამარხი და ნამოსახლარი; მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით მოწყობილ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მდ. ჯრუჭულის ხეობაში მოსწავლეებმა აღმოაჩინეს მეტად საინტერესო და იშვიათი კასტრული გამოქვაბული. ეს მღვიმე ასი ათასი წლის წინათ, იმ დროს, როცა დედამიწაზე დიდი გამყინვარება დაწყებულა, გამოყენებული ყოფილა ქვედა პალეოლინელ ადამიანის სადგომად. ამ გამოქვაბულში, დიდძალ ქვისა და ძვლის იარაღთან ერთად, აღმოჩნდა თვითონ იმდროინდელი ადამიანის ე. წ. ნეანდერტალელის ნაშთი. ეს აღმოჩენა პირველი შემთხვევაა კავკასიაში, მეოთხე — სსრ კავშირში. მღვიმე შეტანილია „საქართველოს სსრ წითელ წიგნში".

ქორეთელ მოსწავლეთა საინტერესო საქმიანობით, მათი სასკოლო მუზეუმით იმთავითვე დაინტერესდნენ სამეცნიერო დაწესებულებები და მეცნიერები. ინახულეს და ზოგჯერ ისარგებლეს კიდეც მასალებით გამოჩენილმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა: ნიკო ბერძენიშვილმა, შალვა ამირანაშვილმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ვახტანგ ბერიძემ, ანდრია აფაქიძემ, ნიკო კეცხოველმა, კონსტანტინე წერეთელმა, სერგი დურმიშიძემ, მალხაზ აბდუშელიშვილმა, ალფრედ კალაკოვსკიმ, ლევან გაბუნიამ, ლევან დავითაშვილმა, მირიან ძველაიამ და მრავალმა სხვამ.

ჩვენს მუზეუმს, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო ბაზას, ფართოდ იყენებენ ჩვენი რაიონის სკოლები. მის გასაცნობად მოდიან როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე სხვა რესპუბლიკებიდან. მისი ნახვა-გაცნობით განსაკუთრებით კმაყოფილი რჩებიან მოსწავლეები და პედაგოგები, რომლებიც შემდეგ ჩვენს გამოცდილებას იყენებენ თავიანთი მუშაობის პრაქტიკაში.

მობრძანდით, გელით ჩვენს მუზეუმში!

მ. გოგატიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობის საერთაშორისო სკოლის მონაწილეთა კომუნიკე

1986 წლის 12-17 მაისს ლენინგრადში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული მშვიდობის საერთაშორისო წლის ფარგლებში საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტმა მოაწყო მშვიდობის საერთაშორისო სკოლა, თემაზე: „მშვიდობის საერთაშორისო წელი და ქალთა საზოგადოებრიობის როლი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსში მისი აღკვეთისათვის ბრძოლაში“. სკოლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჰელსინკის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 28 ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის 59 ეროვნული ქალთა ორგანიზაციისა და ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის, აგრეთვე 7 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, პარლამენტების დეპუტატები, მეცნიერები, მასწავლებლები და ჟურნალისტები.

სკოლის მონაწილეებმა გამოხატეს ღრმა შეშფოთება საშიში და რთული საერთაშორისო მდგომარეობის გამო: გრძელდება ბირთვული გამოცდები და ბირთვული იარაღის ზრდა, . განსაკუთრებით საშიშია კოსმოსში გამალებული შეიარაღების გადატანის გეგმები.

უზარმაზარი საფრთხე — ბირთვული მოსპობის საშიშროება შეექმნა ყველა ქვეყანასა და ხალხს.

მრავალი მონაწილე აღნიშნავდა, რომ ხმელთაშუა ზღვის რაიონში, ცენტრალურ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში დაძაბულობის მკვეთრი გამწვავება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშვიდობის შენარჩუნება, ბირთვული კატასტროფის საფრთხისგან კაცობრიობის ხსნა ყველას და თითოეულის საქმეა.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეწყდეს ყველა ბირთვული გამოცდა, გაიყინოს ბირთვული არსენალები, ეტაპობრივად შემცირდეს ბირთვული, ქიმიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი და მთლიანად და საბოლოოდ მოისპოს იგი 2000 წლისათვის. სკოლის მონაწილეებმა მოითხოვეს აღიკვეთოს კოსმოსის მილიტარიზაცია, შეიქმნას უბირთვო ზონები და ქიმიური იარაღისგან თავისუფალი ზონები, შემცირდეს ჩვეულებრივი შეიარაღება.

მათ დიდად შეაფასეს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ბირთვული გამოცდის შეწყვეტის ცალმხრივი მორატორიუმი 1986 წლის 6 აგვისტომდე გაგრძელდა, და მიესალმნენ იმას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა განმეორებით შესთავაზა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს დაუყოვნებლივ შეხვდნენ ერთმანეთს ევროპის ნებისმიერ დედაქალაქში ან ხიროსიმაში ბირთვული გამოცდების აკრძალვის თაობაზე მორიგების მიღწევის მიზნით.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს მხურვალე სურვილი, რომ ეს საბჭოთა ინიციატივები წარმატებით დაგვირგვინდეს და დასაბამი მიეცეს განიარაღების ნამდვილ პროცესს.

მრავალმა გამომსვლელმა თქვა, რომ გამალებული შეიარაღება სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს. გამალებული შეიარაღების შეწყვეტა საშუალებას მოგვცემდა ამის შედეგად გამოთავისუფლებული უზარმაზარი სახსრები მოხმარებოდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, უწინარესად განვითარებადს ქვეყნებში არსებული მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას. ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშვიდობის საერთაშორისო წელიწადის ჩატარებაში და ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევას მშვიდობის დაცვისა და განიარაღებისათვის.

დისკუსიის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ქვეყნებსა და ხალხებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობა თანასწორობის პრინციპებზე და ურთიერთგაგების კლიმატი ჰელსინკის საბოლოო აქტის შესაბამისად.

აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მშვიდობიანი თანამშრომლობის ხელშეწყობისა და ასეთი კლიმატის შექმნის საქმეში.

სკოლის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ქალთა ომისსაწინააღმდეგო მოძრაობა გავლენიანი ძალა გახდა ბირთვული მოსპობის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ილაპარაკეს მრავალფეროვან აქციებზე, რომლებსაც ისინი აწყობენ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ კვლავაც საჭიროა გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა, აგრეთვე დიალოგის განგრძობა. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმას, თუ რაოდენ საჭიროა მშვიდობის სულისკვეთებით აღზრდა იმ მიზნით, რომ სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და პროფესიის რაც შეიძლება მეტი ქალი და ახალგაზრდა ჩავაბათ ომისსაწინააღმდეგო საქმიანობაში.

ორატორებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა ორგანიზაციებსა და მოძრაობებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას. ამ კონტექსტით შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ქალებმა ფართოდ მიიღონ მონაწილეობა მშვიდობის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონგრესში, რომელიც კოპენჰაგენში გაიმართება 1986 წლის ოქტომბერში.

მშვიდობის სკოლის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა კაცობრიობამ XXI საუკუნეში შეაბიჯოს უბირთვულიარაღოდ, მშვიდობის, ნდობისა და თანამშრომლობის პირობებში.

ქეთევან ელისაბედაშვილი

# ოჯახი

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

ის იყო, ნათიამ შუა ორღობეს მიაღწია, რომ წვიმა წამოვიდა.

— ფურცელი დამისველდება! — თქვა ფიქრიანად ქალმა. თუთის ფოთლებით სავსე გოდორი მხრიდან ჩამოიღო და კაბის კალთა გადააფარა.

შორს დაიგრგვინა, დაჰკვესა კიდევ და წვიმას უმატა. ნათიამ ღობეზე გადმომდგარ ხეხილისკენ გაიწაპირა.

— ამ წყეულმა, ჭია არ შემიშინოს! — გაიფიქრა და გაფუებულ ღრუბლებს ახედა.

ამ ბოლო დროს, ნათია ზეცას მაშინ უყურებს, როცა ამინდის გამოცნობა სურს. ქლიავების დახლართულ რტოებში, დაბლა, სულ დაბლა, ჩიტებმა ჟრიამული ასტეხეს, მაგრამ არც კი გაუგონია. მიდის და გზის კორტოხებში ჩამდგარ წყალს დასცქერის. ლიცლიცა გუბეებიდან გადმოსულ წუმპეებს ერიდება.

ვინ იცის ბიჭებიც კარზე მიცდიან! — შემოწთო უეცრად ქალს და აღარც თავგამეტებით წამოსულ წვიმას და არც ფეხქვეშ გაჩენილ ნაკადულებს მოერიდა.

ორღობე სულმოუთქმელად ჩაიარა და შქერის ჩაზელილ ღობეზე გადააბიჯა. კოინდრით ამწვანებულ ეზოში გადასულმა, გოდორი ისევ მხარზე შეიდგა და თვალი ოდის ჩარაზულ კარებს შეავლო. — არ მოსულან?! — თქვა საკმაოდ ხმამაღლა და ქვის პალატისკენ გაემართა.

ხელმოუცლელმა კარებს ფეხი ჰკრა. კარები ღრიჭოდ გაიღო და პალატიდან აბრეშუმის ჭიის შემხუთავი სუნი გამოვარდა. ნათია ამ სუნს შეჩვეული იყო. კარები ცერად შეიარა და თქოთი მოხურა. პალატის ჭიტა ფანჯრები ერთიანად დაორთქლილიყვნენ, ჩვეულებრივზე უფრო ბნელოდა.

ნათიამ გოდორი სკამლოგინზე დადგა. ჩითის ჭრელი თავსაფარი წაიძრო და დასველებული ბაგე-პირის წმენდით, ლეედზე ჩამოხმული ჩელტებისკენ წავიდა.

სადაფივით ლივლივა აბრეშუმის ჭიის გრილი მუხლუხები, ჩელტებზე ჩამორიგებულ ძეძვებზე გადიოდნენ.

— დახრულებულან, დახრულებულან და ეს არის! — გაიფიქრა გახარებულმა ქალმა, ალყა-ალყა სამრიგად ჩამოკიდებულ ჩელტებს შეავლო თვალი. ბევრი ძეძვის უღლიან განშტოებებსა და ხუწუწა ღეროებზე გასულიყო, ბევრიც ჩელტებზე დაყრილი გამოხრული ფოთლების კლერტოებზე ყელყელაობდა. ნათია სწრაფად შემობრუნდა, კალთა თუთის ახალი ფოთლებით გაივსო და ფურცლის მოფენას ფრთხილად შეუდგა.

ახლა, პალატაში, ჭიის ღონიერ ყბებში აშრიალებული ფოთლების შარი-შური და უწუმარი ფუთფუთი გაირკვა.

ნათია მიხვდა, რომ წვიმას გადაელო, კალთა დაიცალა და პალატის კარები გააღო. კარებში გრილი, ნოტიო ჰაერი შემოვარდა. ღრუბლები აჭრილ რძესავით დაფარფატებდნენ. აქა-იქ, მოძალებული ლურჯი ცა და მზის ირიბი სხივები იჭვრიტებოდნენ.

კორძულას დარი ხშირად ასეთი ცვალებადია. ლიხის ქედის კალთაზე მოყუჟულ სოფელს ხან აწეწილი ღრუბლის ფთილები დაეფინება, ხან ერთბაშად მოიკრიალებს და მცხუნვარე მზე გადმოხედავს, ორღობეებს უცებ გააშრობს და გააფიცხებს. ამიტომ არის, კორძულას ნოყიერ ფრჩქოლებში რომ იზრდება წითელპერანგა ნიყვი და ქამა, რთხმელის ჩრდილებში წყარო იცრემლება და გაფოთლილი ტყე-კორდი ისეთი თამამია, როგორც ნათიას გამოხედვა.

ის იყო ნათიამ ცარიელი გოდორი ბუხართან დააგდო, რომ პალატში სახეალეწილმა ბიჭებმა შემოირბინეს.

— დედა, იცი, ჯიხვეჯა მოვარდა! — დაიძახა ლადიმ და წიგნების აბგა სკამლოგინზე დააგდო.

ჩელტებთან მოსულმა ნათიამ ბიჭებს თავით ფეხებამდე მზრუნველი თვალი შეავლო. ბიჭები ტყუპებივით ტოლები იყვნენ. ლადის, მამასავით მხრებაწოწილს და გამხდარს გაბრიელივით ჭრელთვალას, შუბლთან ალოკილი ნაბლისფერი ქოჩორი ჰქონდა. ტუხის, კი, ძვალმსხვილს და შავგვრემანს, უეცარი ავადმყოფობით ლადისავით არასოდეს შეუშინებია მშობლები.

— კი, მაგრამ, ამ ბიჭს ვერ მიხედე! — შეაგება საყვედური ნათიამ უფროს ბიჭს, როცა ლადის დასველებული ხალათის მხრები მოსინჯა.

ლადი ახლა თვითონაც ეტყოდა ნათიას, რომ ტუხია დამნაშავე არ არის, რომ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ძმას სკოლის აივანზე უცდიდა, ძმები ერთად მოდიოდნენ, რომ წვიმა წამოვიდა. ბიჭებმა მამასთან წისქვილში შეირბინეს. გაბრიელმა ბიჭებს ცივი ჭადი და ყველი წაუტეხა, ტომრებზე დასხა და თვითონ წისქვილის ღია კარებში გაჩერდა.

— ვიცოდი, ასე ვიცოდი! — თქვა უეცრად მან და გარეთ გავარდა. ამ თავსხმაში ბიჭები მამას ფეხდაფეხ გამოუდგნენ. წისქვილის საგუბარისკენ გაქცეულმა გაბრიელმა გზადაგზა გახდილი „კურტკა" ძირს დააგდო და სულმოუთქმელად წისქვილის საგუბარში გადააბოტა. ბიჭები გაოცებულნი მისცვივდნენ წყლის კალაპოტთან, მამამ წისქვილის ორივე ლარი სწრაფად გადაკეტა და ჭაულიან კორძულას, რომელიც გაბანილი ქვის მარწუხებში მოშხუოდა, გზა სათადარიგო კალაპოტში მისცა. ის იყო ტალახიანი მაჯები ჩაიბანა და წყლიდან ამოვიდა, რომ იმათ თვალწინ მოდიდებული მდინარის წყალმა ქლევა-დუღილით მოაღწია, მოაღწია და თავქვე ღრიალით დაეშვა.

— წალეკავდა, ერთიანად წალეკავდა ამ პატარა წისქვილს და სოფლის სიმინდი ვალად დაგვედებოდა! — თათბირობდა გაბრიელი შვილებთან და ვერ ამჩნევდა ბიჭები რა გულდაგულ ილუმპებოდნენ.

ახლა, ლადის მამის გმირობა კი არ დაავიწყდა, შინ ყველაფერს დაწვრილებით უამბობს დედას, მაგრამ ორკაპა ძეძვებში ჩამდგარმა ჭიამ თვალი მოსტაცა.

— შეხედე, შეხედე, დედა, პარკს იკეთებს! — დაიძახა ჩელტზე დახრილმა.

— არ დაიყვირო, არ დაიყვირო, ლადი, თორემ შეუშინდება, — გააფრთხილა ნათიამ შვილი და ისიც სიფრიფანა ბადეში გამონაკვთულ პარკს დააცქერდა.

— ხედავ, ტუხია, როგორ წვრილ ძაფს უშვებს პირიდან?! — მიუთითა მხარში ამომდგარ ძმას ლადიმ.

— ხელი, ხელი არ მიაკარო, ბიჭო — დაჰწია ტუხიამ ძმას და



თვითონაც რომ ცდუნებას არ დაეძლია, წელში შემართულმა, ხელი შარვლის ჯიბეებს წაუყარა.

— ძაფზე რომ ხელი მოგიხვდეს, პარკის გაკეთებას ხელს შეუშლი, — განუმარტა ნათიამ შვილს და ნახევრად შემშრალი ხალათის ღილები გაუხსნა.

— რატომ შევუშლი?

— იმიტომ, რომ ძაფი გაუწყდება! — მიუგო ძმას ტუხიამ.

— სადა აქვს ძაფი?

— ვერა ხედავ, ბიჭო, პირიდან რომ უშვებს...

— რატომ უშვებს?

— იმიტომ, რომ პარკი გაიკეთოს.

—პო, ვიცი, მაგრამ მაგას პარკი რად უნდა?

— პარკი მაგისი სახლია.

— პარკის სახლში ხომ დაიღრჩობა?..

— კი არ დაიღრჩობა, შიგ ჩაჯდება და ფრთებს გამოიბამს.

— მერე?

— მერე პარკს გასჭრის და გარეთ გამოვა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კვერცხები დასდოს.

— როგორი კვერცხები?

— აი, ისეთი, ხომ გახსოვს, მე რომ კოლოფით მოვიტანე. წვრილ ჭიებად რომ დაიჩეკენ, — ჩაერია საუბარში ნათია, რომელიც ახლაღა დარწმუნდა, აბრეშუმის ტრესტის კანტორაში რა სანაქებო თესლი მოუციათ!

ნათიამ მაშინ შინ მოტანილი კოლოფი სარკმლის რაფაზე დასცალა და ნახა: ღომის მარცვლებივით წვრილი კვერცხები მზის შუქზე უცნაურად გამონათდნენ. მსუყე, არაჟანივით მსუყე ბზინვარება გამოსცეს.

— დედა, მართლაც, ისეთი პაწაწინა კვერცხები როგორ ცოცხლდებიან? — იკითხა ფიქრიანად დაკვირვებულმა ტუხიამ და აზრიანი, შავი თვალები დედას შეანათა.

ნათიას არასოდეს უფიქრია სიცოცხლის ამ უცნაურ ძალაზე, თუმცა არაერთხელ მიხალისებია გატეხილი ნაჭუჭიდან გადმომხტარ ღინღლიან წიწილას, გამოხშირული ბჟოლების ხელმეორედ წამოსულ ტკრციალა ფოთლებს, მაგრამ ეს ისე ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო, რომ არასოდეს გაჰკვირვებია.

— ცოცხლდებიან, აი, ისე, ცოცხლდებიან და მეტი არაფერი! — უთხრა ნათიამ შვილს, ისე, ჩვეულებრივად. თუმცა ვინ იცის, რა არაჩვეულებრივად იშრომა, რომ ღომის მარცვლების ოდენა კვერცხებში ჩამდგარი სიცოცხლე არ ჩაექრო, ვინ მოსთვლის, მთვარიან ღამეში ხიდან ხეზე რამდენჯერ გადასულა, რამდენჯერ ხელფეხი დაუპოტნია და დაღლილობისგან მორეული ძილისთვის თავი წაურთმევია.

ეხლა კი მორჩა, საზრუნავი მაგდენი აღარ ექნება და ქმარშვილს მიხედავს. ნათიამ ლადის ხალათი გახადა. სკამლოგინზე დაყრილი ჩანთები წამოკრიფა, რომ ახლა ქმარშვილი დააპუროს, თორემ ამ ბოლო დროს გაბრიელი საყვედურობდა:

— ნათია, ამ ჭიებს ნამდვილად გადაგვაყოლე!

— დამაცა, ჩემო სიცოცხლე, დამაცა! — ეტყვის ხოლმე ნათია და რატომღაც ქმარშვილის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს.

მერე და, რატომ არის დამნაშავე ნათია?! — ოჯახის წინ წასაწევად რომ აბრეშუმის ჭიის, ორმაგი ულუფის მოვლა ითავა?! მის თვალწინ გაცოცხლებული მუხლუხების გამოსაკვებად რომ თავი არ დაიზოგა? ის კი არა, სოფლის სახელოვანი ქალები შრომობენ წელგაუშლელად. შრომობენ და დაფასებულნიც არიან.

მერე; ვინ იცის, გაბრიელის შეუხედავი ცოლი, ტანმორჩილი სწრაფი დედაკაციც, სოფლის სახელოვანი ქალი გახდეს?! ამ სახელს ხომ, ნათია, ვერავის გაუყოფს. ის მხოლოდ ნათიასი იქნება. ნათია შრომის გმირი და საქვეყნოდ დაფასებული. — ამ ფიქრებში წასულმა ქალმა სკამლოგინზე დაყრილი აზგები წამოკრიფა, ლადის სველი ხალათი აიღო და ბიჭებს უთხრა:

— წამოდით, ახლა, წამოდით! — პალატის გაღებულ კარებში შეჩერებულმა გაიღიმა. წვიმას უკვე გადაელო და ნათელი, თვალსხივიანი მზე ქათქათებდა.

გაბრიელს ლობეზე გადმოევლო. მზით გარუჯულ ვაჟკაცს ახლა დაფქვილი სიმინდის მომცრო ტომარა მხარზე გაედო და შინისკენ მოალაჯებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საით წაიყვან, ფიქრის გორგალო!



ფ. იაკობაშვილის ფოტო

— „თამრიკოს დაზგა", — ასე ჰქვია პატარა მაკეტს, რომელიც უკვე წარმოებაში აიწყო... მაკეტის სურათი გოგონას მშობლებმა მაჩუქეს. თვითონ ძუნწი მოსაუბრეა, არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი. არადა, მის მიერ მოფიქრებულმა ხის ბურთულაკების დამამუშავებელმა დაზგამ გოგონას პირველი სიხარული ჯერ კიდევ მეექვსე კლასში მოუტანა.

„ბავშვობა ის ვეება ნაკრძალია, საიდანაც გამოვიდა თითოეული ჩვენთაგანი" — წერდა ეგზიუპერი; ეზოში, ფანატოლებთან თამაშის დროს, სწორედ ამ ნაკრძალში დაებნა გოგონას სათამაშო მძივები. მოზარდის ყურადღება მძივების სხვადასხვა ფორმამ მიიქცია, ნახვრეტებიც სხვადასხვა ადგილას ჰქონდა. ვინ იცის მერამდენედ დახედა მძივებს და ბავშვური ცნობისმოყვარეობის კითხვებიც გაჩნდა: რატომ? როგორ? სწორედ ამ დროს, კითხვების კორიანტელში დაიხვა ფიქრის გორგალი და თანდათან, შეუმჩნევლად წამოტივტივდა ხის ბურთულაკების გამოსაჩარხი ხელსაწყოს შექმნის იდეაც. ცნობისმოყვარეს თავისსავე კითხვებისათვის პასუხის გასაცემად ცოდნა რომ არ ეყო, მამას მიმართა:

— ხომ შეიძლება ისეთი დაზგა გამოიგონონ, ხის ბურთულაკებს ერთდროულად ერთნაირს რომ გამოჭრიდა?

— მამას გაეღიმა... — შეიძლება.

გოგონას მშობლისთვის არც ის დაუფარავს, წუხელ ამაზე ფიქრმა მთელი ღამე არ მომასვენაო.

მამამ შვილის ნაფიქრი, უკვე ხორცშესხმული წარმოიდგინა და გოგონა თავის მეგობრებთან წაიყვანა; შემდეგ მათთან ერთად გაკეთდა თამრიკოს პირველი ჩანაფიქრის მიხედვით ნახაზი და მოსკოვში გაიგზავნა. დედაქალაქიდან სწრაფად დაბრუნდა ძალზე მოკლე პასუხი. სსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა მოიწონა ქუთაისის მე-18 სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის თამრიკო ლობჟანიძის იდეა — გამოგონებაო.

მალე ასეთი ცნობაც მოვიდა თამრიკოს სკოლის სახელზე;

— „გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი გატყობინებთ, რომ თქვენი სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ თამრიკო ლობჟანიძემ 10 წლის ასაკში წამოაყენა ტექნიკური იდეა ხის ბურთულების გამოსაჩარხავი დაზგის შექმნის თაობაზე; ბურთულებისაგან მძივები და ბავშვის საწოლის მორთულობანი კეთდება. თამრიკო ლობჟანიძის იდეა განხორციელდება საქართველოს ხე-ტყის დამმუშავების სამინისტროს სპეციალისტების ე. ლობჟანიძის, გ. გოთუას, კ. ონიანის მონაწილეობით. სსრ კავშირის გამომგონებელთა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა თამრიკო ლობჟანიძეს მიაკუთვნა საავტორო მოწმობა, რომელიც გეგზავნებათ თქვენ, რათა საზეიმო ვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

18537

ბაში გადასცეთ გოგონას. იგი ყველაზე ნორჩი გამომგონებელია სსრ კავშირში.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ი. ჭუმბურიძე".

თბილისის ხის დამმუშავებელ კომბინატში ყურადღებით მოეკიდნენ ახალ გამოგონებას. სწორედ აქ დაიდგა ახალი დაზგა. უფლება, პირველს აემუშავებინა იგი, ნორჩ გამომგონებელს მისცეს. მასვე უსახსოვრეს ერთნაირი ფორმისა და ერთიდაიგივე ადგილზე გაკეთებული ნასვრეტებიანი ლამაზი ბურთულები.

დაზგის გაუმჯობესებაზე ფიქრი და მუშაობა კი არ შეწყვეტილა. დაიხვეწა გამოსაჭრელი დაზგის მუშაობის სისტემა, დაემატა ავტომატური მომწოდებელი მექანიზმი, რისთვისაც საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა 1983 წლის 26 ივნისს გოგონას სახელზე ახალი საავტორო მოწმობა გასცა. თამრიკო ლობჟანიძე, ბ. ფარცხალაძესთან, ე. ლობჟანიძესთან, ს. ონიანთან, ე. სუპატაშვილთან, გ. გოთუასთან ერთად თანაავტორად იქნა აღიარებული.

ნორჩ გამომგონებელთა ჩანაფიქრები, იდეები, ბევრჯერ გამხდარა დიდი ჩანაფიქრის საფუძველი, ამიტომაც ექცევა ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ბავშვთა ტექნიკურ შემოქმედებას.

მამას გოგონა ხშირად დაჰყავდა საავეჯო ქარხანაში, სადაც თამრიკოს შეეძლო საათობით მდგარიყო მერქნის მოსახარშავ ორმოსთან. მოხარშული მერქნის სპეციფიკური სუნიც უყვარდა. თავისუფალ დროს კი ხატავდა, კითხულობდა, სათამაშოებს ჩაჰკირკიტებდა, ჭადრაკს თამაშობდა... ერთ დროს ქანდაკებამაც გაიტაცა... მაგრამ ახლის ძიების ფიქრი არ ასვენებდა და აი, გაჩნდა კვლავ ახალი პროექტი. მის მიხედვით შექმნილი დაზგით დაიწყო ხის მძივებისაგან დეკორატიული ფარდების გამოშვება თბილისის ხის დამმუშავებელ კომბინატში და... თამრიკოს სახელზე კვლავ გაიცა საავტორო მოწმობა ტექნიკური გამოგონებისათვის. მასთან ერთად საავტორო მოწმობა თანაავტორობისათვის მიიღეს ედუარდ ლობჟანიძემ, გიორგი გოთუამ და კარენ ოპანიანმა.

თამრიკოს ფიქრის გორგალი კვლავ აგრძელებს გზას. ჩნდება მისი მეორე წინადადებაც... დასანერგად ისიც მიიღეს.

...მალე მის მიერ გამოგონილი დაზგა ავტომატიზირებული გახდება. ხელსაწყომ, რომელიც თბილისის ავეჯის ფაბრიკაში დაინერგა, სახელმწიფოს 15000 მანეთი ეკონომია მისცა. ხოლო, როცა 3 საავტორო მოწმობის მფლობელის სახელზე პრემია გაიცა, გოგონამ ის მშვიდობის ფონდში გადარიცხა.

იქნებ, ყოველივე არ დაიჯეროთ. თავიდან არც თანაკლასელებს სჯეროდათ, არც სხვებს. — მამა ხომ არ ეხმარება? — გაჩნდა ეჭვიც. მაგრამ გონიერებამ გაიმარჯვა. თამრიკოს დაუშრეტელმა ფანტაზიამ და ხალმა ტექნიკურმა ალღომ ყველა დაარწმუნა მის პრაქტიკულ აზროვნებაში.

შარშან, ბაქოში გამართულ ნორჩ გამომგონებელთა საკავშირო შეკრებაში მონაწილეობდა. პირველ ადგილზე გავიდა. ქართველმა მოსწავლემ ბულგარეთშიც გვასახელა. სსრ კავშირის გამოგონებისა და აღმოჩენის საქმის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო, ყოველთვიური თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ვოპროსი იზობრეტატელსტვა" აფასებს რა ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში გამართულ გამოფენის მონაწილეთა ნამუშევრებს, ყურადღებას აჩერებს ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა გამომგონებელზე, ქუთაისელ თამარ ლობჟანიძეზე, რომლის მეთოდითაც გამოთლილი ხის მძივები წარმატებით გამოიყენება ადგილობრივ ხის დამმუშავებელ კომბინატში. ჟურნალი ხაზს უსვამს, რომ აქ მხოლოდ ეკონომიკური სარგებლობა როდია ყურადსაღები, არამედ ტექნიკური შემოქმედების პროცესში მოზარდის მნიშვნელოვანი ზნეობრივი ხარისხის ფორმირების მიმდინარეობა, მისი დამოუკიდებელი აზროვნების გამოვლენა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის წარმოჩენა.

უფრო ადრე მიაქცია მას ყურადღება ჟურნალმა „იუნი ტექნიკმა", რომელიც ერთ-ერთ წერილში წერს: „— ნორჩი გამომგონებლის თამრიკო ლობჟანიძის გვარი ჯერ კიდევ პიონერულ ასაკში შეიტანეს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს საპატიო წიგნში, მიწვეულ იქნა სპეციალურ შეხვედრაზე საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში".

1985 წელს მას ბავშვებისა და მოზარდებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის მე-12 საკავშირო კვირეულში აქტიური მონაწილეობისათვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, საკავშირო დოსააფის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო საზოგადოება „ცოდნას" დიპლომი გადაეცა. ნორჩი გამომგონებელი საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა პიონერთა საკავშირო ბანაკში — არტეკში გააგზავნა, სადაც იგი საბჭოეთის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა თანატოლებმა გაიცნეს. რატომღაც, ყველა ჯილდოთა შორის თამრიკო არტეკის სიგელს, ბავშვობის წლების ამ საუკეთესო სამახსოვროს გამოარჩევს.

მახლობლები, მეგობრები გოგონას პოეტურ ბუნებას უსვამენ ხაზს, ლექსებს სწერსო... მას ესეც ეხმარება გამომგონებლობის, ფანტაზიის განვითარებაში. ტექნიკური შემოქმედებისაკენ ლტოლვამ საზოგადოებრივ, თანატოლთა ცხოვრებას როდი ჩამოაცილა. სკოლაში კედლის გაზეთის რედაქტორია, სწავლობს მუსიკას; უქმე დღეებში, როცა მშობლებთან არის (თამრიკო ბებიასთან ცხოვრობს ქუთაისში) და ოჯახში მამის მეგობრები, რაციონალიზატორები იკრიბებიან, გოგონას ყველაფერი აინტერესებს... უსმენს, მათ კამათში ერთვება, ხოლო როცა ისინი რაღაცას აღწევენ, მათთან ერთად ხარობს. დღეს თამრიკო ლობჟანიძე ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის მე-10 კლასშია, კარგად სწავლობს. იგი როგორც სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, წარმატებით უძღვება თავისი სკოლის ახალგაზრდების ცხოვრებას, როგორც კომკავშირის ქუთაისის ლენინის რაიკომის ბიუროს წევრი აქტიურად მონაწილეობს ქუთაისელი ახალგაზრდების ცხოვრებაში.

მკითხველი ალბათ იკითხავს: — მეათე კლასელს ასე თუ ისე მომავლის გზა უკვე უნდა ესახებოდეს. მომავალი პროფესია თუ აირჩიაო.

ინჟინრობა სურს, მამის პროფესიას ირჩევს. ოჯახში ორი თანამოაზრე უფრო მეტს შექმნის.

— ვერაფერს მიაღწევ, თუ ხაზვას არ დაეუფლებიო. და მან ხომ თავიდან მამის რჩევით აიღო ფანქარი და გულმოდგინედ დაეუფლა ხაზვის ნოტებს; როცა მამამ განუმარტა, კიდევ ფიზიკისა და მათემატიკის კარგად სწავლააო საჭირო, აქაც მის დარიგებას მიჰყვა.

გოგონას უყვარს ნორჩ ტექნიკოსთა სადგური. წლეულს, იანვარში ქუთაისელი ნორჩი ტექნიკოსები ბულგარეთში იყვნენ, მსოფლიო გამოფენა-დათვალიერებაში მონაწილეობდნენ. პლოვდივში გამართულ გამოფენაზე „ხის სფეროების დამამუშავებელმა ხელსაწყომ" დიდი აღიარება მოუტანა თამარს.

თამრიკო 3 წელია მეცადინეობს ნორჩ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წრეში. ამ ბოლო დროს ერთმა ფიქრმა არ მოასვენა. არ მოეწონა სულ ახალი სასწავლო მაგიდა, რომლის ზედაპირი ლაქებით იყო დაფარული. მამამ აუხსნა, მოსაპირკეთებელ ფანერს დაპრესილი ხის ბურბუშელათი ფარავენ და ლაქებიც აქედან ჩნდებაო. შინ მარტო რომ დარჩა, ექსპერიმენტი ჩაატარა.

ამის შესახებ მაშინვე მამას აცნობა. მშობელმა იდეა მოუწონა; ეს იდეა იმ წარმოებაში აიტაცეს, სადაც მისი პირველი ჩანაფიქრი დაინერგა; გოგონა კი სახაზავ მაგიდას მიუჯდა... ქაღალდზე ხაზვის ნოტები გააცოცხლა.

...ფიქრის გორგალი კვლავ იხვევა... 1985 წელს ნორჩ ტექნიკოსთა საკავშირო კვირეულში გამარჯვებულთა შორის თამრიკო ლობჟანიძეც იყო, რომელმაც ხის სფეროების დამამუშავებელი მოწყობილობის კვლავ ახალი გამოგონება წარადგინა.

...ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ეფექტიანობის გაზრდის საჭიროება დღის წესრიგში დგას. — ითქვა სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებზე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ფორმა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლავთ ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმა ტექნიკურ შემოქმედებაში. შეიძლება ყმაწვილი სასწავლებელში კარგზე და ფრიადზე ვერ სწავლობდეს, მაგრამ ტექნიკური შემოქმედებისაკენ დიდი მისწრაფების უნარი ჰქონდეს. სამწუხაროდ ყოველთვის ვერ ხერხდება ინდივიდუალური მიდგომით ასეთი ახალგაზრდების გამოვლენა და ხშირად გვეკარგება ნამდვილად ნიჭიერი ადამიანი; ეს კი არ მოხდება, თუ საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასებში, პროფტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სათანადო ყურადღება მიექცევა საგამომგონებლო შემოქმედების საფუძვლების სწავლებას, სათანადო პროპაგანდა გაეწევა ამ საქმეს, — ითქვა ამის შესახებ კომუნისტთა ფორუმზე.

მოსწავლის ასაკში ეძლევა მოზარდს ტექნიკური აზროვნების გამოვლენისა და განვითარებისა, იმ ჩანაფიქრისა და ფანტაზიის ხორცშესხმის საშუალება, რომელიც ამ ასაკში მას მრავლად ებადება, ხოლო ბოლომდე მიყვანას სპეციალური ცოდნა და პატრონობა უნდა.

დასასრულ, არ შეიძლება არ გაცნობოთ, რომ თამრიკო ლობჟანიძის გამოგონებებზე ბევრი მოთხოვნილებაა. კრასნოდარის მხარის მექანიზირებულ სატყეო მეურნეობის დირექტორის ა. მაქსიმენკოს ხელმოწერით საქ. სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის სახელზე მოვიდა ბარათი და თხოულობენ გაუგზავნონ მათ სამუშაო დაზგის ნახაზები ხის ბურთულების დასაჭრელად და ბამბუკისაგან დამზადებული ავეჯის ტექნიკური აღწერილობა. გარდა ამისა, საინტერესოა საქართველოს სსრ სავაჭრო — სამრეწველო პალატის მიერ გაგზავნილი მიმართვა მე-12 ხუთწლედში საზღვარგარეთ გამართულ მსოფლიო გამოფენაზე მოძმე რესპუბლიკების მონაწილეობის შესახებ: დამტკიცებული გეგმით, საბჭოთა ექსპოზიციის თემატურ განყოფილებაში საქართველოს სსრ 1986 წლის ოქტომბერში მონაწილეობას მიიღებს ბარსელონას (ესპანეთი) საერთაშორისო ბაზრობის გაფართოებული განყოფილების, პროფილურ თემაში „საქართველოს მეცნიერება, პატენტი და ლიცენზიები". აქ ადგილი დაეთმობა თამრიკოს გამოგონებასაც.

მომავალში გამუდმებული ფიქრი და ძიებაა საჭირო. დიახ, ნორჩმა გამომგონებელმა ეს კარგად იცის და ცდილობს კვლავაც ისწავლოს, იმუშაოს...

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა წევრი კვლავ გამოგონებაზე ფიქრობს.

რაზე?

ჯერჯერობით საიდუმლოა, ისიც მალე გახდება ყველასათვის ცნობილი.

**ნათელა ფაილოძე**





# * * * არეთა ლოლუა



ამას წინათ, ჭიათურაში, როდესაც თეატრის 90 წლისთავის ზეიმზე ბევრი ამაგდარი გაიხსენეს, მათ შორის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს არეთა ლოლუასაც დაუნთეს მოგონების კელაპტარი. მართალია, ამ თეატრში ქალბატონ არეთას დიდხანს არ უმუშავია, მაგრამ იგი თითქმის ოთხი ათეული წელი დიდი ერთგულებითა და რუდუნებით ემსახურა ქართულ თეატრს.

არეთა ლოლუა დაიბადა 1892 წ. 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი და იმავე წელს ანეტა დადიანი-დადეშქელიანის სარეკომენდაციო წერილით გაემგზავრა თბილისს, ივანე მაჩაბლის მეუღლე — ტასო მაჩაბელთან; უნდა ითქვას, რომ დიდი ქართველი მგოსნის აკაკის დისწული ქ-ნი ანეტა არეთას ავ-კარგის გამზიარებელი, მზრუნველი, მოამაგე და საერთოდ სულიერი მეგობარი იყო. ქ-ნი ტასო კი დრამატული საზოგადოების წევრი და თეატრთან დაახლოებული პიროვნება გახლდათ.

ქ-მა ტასომ, არეთას მრავალგზის კეთილშობილ ადამიანად რომ იხსენიებს, მაშინვე გონივრული გადაწყვეტილება მიიღო და ახალგაზრდა, გამოუცდელ გოგონას გზაზე დაყენებას სწორი მიმართულება მისცა. მან თავისი, პირადი რეკომენდაციით არეთა მაკო საფაროვა-აბაშიძეს ჩაუსახლა ბინაში. ამ სრულიად ახალგაზრდა, დედაქალაქში პირველად ჩამოსულ გოგონას პიროვნულ და პროფესიულ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მაკო საფაროვა-აბაშიძისა და ილია ზურაბიშვილის გარემომ; ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ზურაბიშვილი ცხოვრობდა მაკოს მეზობლად იმავე სახლში და როგორც წესი, მაკოსთან სადილობდა. ქ-ნმა მაკომ ხომ გემრიელი კერძების გაკეთება იცოდა!

ასეთი კარგი ცხოვრების პირობებს ის სიკეთეც დაემატა, რომ არეთა მაშინვე ჩაირიცხა დასში და სადებიუტოდ ნ. შიუკაშვილის პიესაში „სიმახინჯე" სონას როლის განსახიერება დაეკისრა. რეჟისორი იყო ვ. შალიკაშვილი.

განსაკუთრებული ღელვა განიცადა არეთამ ამ სპექტაკლზე მუშაობის დროს იმიტომაც, რომ ამავე როლს ქუთაისის სცენაზე ასრულებდა ქართული სცენის მშვენება ნუცა ჩხეიძე.

დებიუტმა კარგად ჩაიარა, არეთა მოიწონეს. შინ რომ დაბრუნდა, მაკომაც და ილიამაც ქებასთან ერთად გაუზიარეს თავიანთი შენიშვნები, რაც გამოწვეული იყო არეთას ახალბედობით, გამოუცდელობით.

გოგონას ბედმა იმ მხრივაც გაუღიმა, რომ ხშირად უხდებოდა მუშაობა და ურთიერთობები ქართული სცენის კორიფეებთან, ოხტატებთან და, რომლებმაც როგორც თვითონ არეთა ამბობდა ხოლმე პირად საუბარში, მიანდერძეს თეატრისადმი, ჩემი პროფესიისადმი უანგარო სიყვარულიო.

„მსახიობები, — იგონებს ქ-ნი არეთა, — ტასო აბაშიძე, ნინო დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ოლღა ლეჟავა, პაშა შოთაძე, ა. კარგარეთელი, მ. გამყრელიძე, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ვასო არაბიძე, კოტე მესხი, ვიქტორ გამყრელიძე, იუზა ზარდალიშვილი, გიორგი იმხნელი, დ. მგალობლიშვილი, კ. ციზიშვილი, ს. ჟივიძე, ს. ალექსიძე, სუფლიორები: ბეგლარ ახოსპირელი, სოსო გრიშაშვილი (თანაც თამაშობდა), რეჟისორები: ვალერიან შალიკაშვილი, მიხეილ ქორელი — ეს დასი იყო ჩემი თეატრალური სკოლა, ესენი იყვნენ ჩემი პირველი მასწავლებლები".

მუდამ მშფოთვარე და დაუდგომელი ბუნების მსახიობს არასოდეს ეუფლებოდა თვითკმაყოფილების გრძნობა, რამაც დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში.

სადღა არ უმუშავია ქ-ნ არეთას, რომელი რაიონის თუ ქალაქის მაყურებელი არ მოუხიბლია თავისი ხელოვნებით! (ჭიათურა, ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, სოხუმი, ცხაკაია, თუ სიღნაღი?!) ყველგან დიდი ენთუზიაზმითა და სიხარულით მიემგზავრებოდა ხოლმე. 1919-22 წ. წ. მუშაობდა რუსთაველის თეატრში, თავისი წვლილი შეიტანა ბაქოს ქართულ თეატრშიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ადრეულ წლებში, ჩვენთან არსებობდა ჯანმრთელობის კომისარიატისა და სანიტარულ-აგიტაციის თეატრები, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მართავდნენ წარმოდგენებს. არეთა ლოლუამ ამ თეატრებშიც მოიხადა თავისი „პროფესიული ვალი".

ა. ლოლუას მსახიობურ ინდივიდუალობას ახასიათებდა ხმის კარგი ტემბრი, მკაფიო და მუსიკალური მეტყველება, გახლდათ მომხიბვლელი, ეგზომ ქალური, პლასტიკური და არტისტული არა მარტო სცენაზე, არამედ ცხოვრებაშიც. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ მისი სცენაზე გამოჩენა უკვე იპყრობდა და ხიბლავდა მაყურებელს. მსახიობის მიერ განსახიერებული პერსონაჟები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ფსიქოლოგიური

# ლოლუა

სიღრმით, შემოქმედებითი წარმოსახვის თავისებურებებით.

ა. ლოლუას საშემსრულებლო რეპერტუარი არ იყო შეზღუდული ერთი რომელიმე ჟანრის პიესით, რამაც აგრეთვე თავის დროზე დიდი პოპულარობა მოუპოვა მსახიობს. ა. ლოლუას ერთნაირად ემარჯვებოდა როგორც დრამატული, ისე კომედიური ხასიათის როლების განსახიერება, რაზეც ერთხელ მაკო საფაროვა-აბაშიძეს უთქვამს: „არეტა (ასე მიმართავდა ქ-ნი მაკო ყოველთვის), შენისთანა მსახიობს „აქლემი" ეწოდება, რომელიც ყველანაირ ტვირთს ზიდავს!"

მსახიობი დიდი წარმატებით ახორციელებდა როგორც ქართულ, ისე მოძმე ხალხთა და უცხოეთის თანამედროვე თუ კლასიკური დრამატურგიის ნიმუშების პერსონაჟთა იერსახეებს. ა. ლოლუას მსახიობურ ნიჭს არაერთხელ გამოეხმაურა ჩვენი პრესა. ჯერ კიდევ ოციოდე წლის გოგონაზე 1912 წ. 27 ოქტომბერს „სახალხო გაზეთი" წერდა: ძვირად გვინახავს ისეთი დაკვირვებული და მართლა თავისუფალი თამაში, როგორც გუნიასი და ლოლუასი იყო. საერთო შესრულების ნაკლი მხოლოდ მათ აანაზღაურეს". ხოლო იმავე წლის 27 ოქტომბერს „ზაკავკაზიე" იტყობინება „...მაგრამ ამჯერად პირველობა მსახიობ ა. ლოლუას უნდა მიენიჭოს, რომელიც ისე შესანიშნავად ასრულებდა მსახური მამის როლს, რომ იპყრობდა მაყურებელთა ყურადღებას". ორივე შემთხვევაში ნაგულისხმევია ი. გედევანიშვილის პიესა „ოჯახი" და მისი პერსონაჟი მამო.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა ა. ლოლუას თავისი შემოქმედების მეორე ნახევარში განხორციელებულ ლედი მილფორდის იერსახეს (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული"), რომელსაც მსახიობი ისე ოსტატურად ასრულებდა, რომ თეატრალთა წრეებში საბენეფისო როლად იყო მონათლული.

მსახიობმა თავისი შესაძლებლობა რეჟისურაშიც სცადა. სხვადასხვა თეატრში განახორციელა რამდენიმე ცალკეული დადგმა.

1941 წ. არეთა ლოლუას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

არანაკლები მონდომებითა და გატაცებით იღებდა მონაწილეობას არეთა ლოლუა საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებაში. არაერთი წარმოდგენის მოთავე და ორგანიზატორი ყოფილა, რომლის შემოსავალს ანდომებდა სოფლის საქველმოქმედო საქმიანობას. ასე, მაგალითად, ჩხარის რაიონის საზანოს თემსაბჭოს 1937 წ. 3 იანვრის ცნობა № 23 ადასტურებს, რომ მსახიობმა არეთა ლოლუამ საზოგადოებრივი და კულტურული მუშაობა დაიწყო რაიონში 1914 წლიდან, შეაკავშირა მაშინდელი ადგილობრივი კულტურული ძალები და აწყობდა წარმოდგენებს... ამ შემოსავლით მან დააარსა: ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საექიმო პუნქტი, რომლისთვისაც შეიძინა ყველა საჭირო მოწყობილობა, მდინარე ძუსაზე გააკეთა რკინის საურმე ხიდი, დააარსა საფოსტო ყუთი, შესწირა სცენისმოყვარეთა დასს დიდი ფარდა (წარმოდგენებისათვის), დააარსა წვრილი საკრედიტო ამხანაგობა და სამომხმარებლო საზოგადოება, მოაწყო ყოველკვირეული ბაზრობა.

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას მარტო არეთა ვერ გააკეთებდა, მას მხარში ედგა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები, მთელი კუთხის მოწინავე ადამიანები, მაგრამ ინიციატივა ქ-ნ არეთას ეპყრა ხელთ; სწორედ ასეთი შინაგანი ძალების თავმოყრა, მობილიზება ანიჭებდა მას დიდ სიამოვნებას და კმაყოფილ სიმშვიდეს.

1955 წ. 16 სექტემბერს ა. ლოლუა გარდაიცვალა ფილტვების დაავადებით.

მსახიობმა თავისი საზოგადოებრივი და თეატრალური ღვაწლის გარდა დაგვიტოვა დასტამბული „მოგონებები" (თბ. 1954 წ. „ხელოვნება"), რომელშიც ავტორი აღწერს თავის ცხოვრებას, განვლილ შემოქმედებით გზას, ნანახის შთაბეჭდილებებს, შეხვედრებს სცენის გამოჩენილ მოღვაწეებთან და იმ სოციალურ გარემოს, სადაც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

**მარგარიტა გოგოლაშვილი**



# მერი ნაკაშიძე

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ქართველი მომღერალი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მერი ნაკაშიძე.

მერი ნაკაშიძემ ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოამჟღავნა იშვიათი სილამაზის ხმა. იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე ცნობილი მომღერლისა და პედაგოგის ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლასში სწავლობდა. V კურსის სტუდენტი თბილისის საოპერო თეატრის სოლისტად მიიღეს. მისმა ლირიკულ-კოლორატურულმა სოპრანომ მოხიბლა მუსიკალური საზოგადოება. მაროს (ზ. ფალიაშვილის „დაისი"), ქეთოს (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე") და სხვა საინტერესო როლების შესრულებით ოპერის მოყვარულთა მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო. მას ბრწყინვალე ვოკალური და სამსახიობო მონაცემები ჰქონდა.

საკონცერტო ესტრადებზე დიდი იყო მისი კამერული რეპერტუარი და ამით მსმენელთა ფართო აუდიტორიას იზიდავდა.

ქართულ ვოკალურ ხელოვნებას მერი ნაკაშიძის სახით ბრწყინვალე მომღერალი ჰყავდა. მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართულ საოპერო ხელოვნებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მინი კოლმეურნეობა

მესამე წელია კასპის რაიონის შვიდ კოლმეურნეობასა და ცხრა საბჭოთა მეურნეობაში ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული მინი კოლმეურნეობები, სადაც თავმჯდომარეც და კოლმეურნეებიც რაიონის მერვე, მეცხრე და მეათე კლასების მოსწავლეები არიან. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქვემო ჭალის მოსწავლე-კოლმეურნეებმა. სოფელი ქვემო ჭალა რაიონული ცენტრიდან თორმეტი კილომეტრის მოშორებით, მდინარე ლეხურას პირას მდებარეობს. სოფელი ღონიერია თავისი ეკონომიკით, კულტურით. ქვემო ჭალის სტალინის სახელობის მრავალდარგოვანი კოლმეურნეობა მარტო რაიონში კი არა, რესპუბლიკაშია სახელგანთქმული. აქ სულ უფრო ვითარდება მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა. ოცდამეხუთე წელია კოლმეურნეობას თავკაცობს ალფეზ ბუდალაშვილი.

პარტიული კომიტეტის მდივანმა ციური გოხელაშვილმა ბევრი კარგი გვითხრა მინი კოლმეურნეობაზე, შემდეგ კი, სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკი სერგო მესროფაშვილი გაგვაცნო, რომელიც მოსწავლეთა კოლმეურნეობაზე მზრუნველობს.

— დაუზარელი. მშრომელი გოგო-ბიჭები გვყავან, სწორედაც რომ

ა. გოგოლაძის ფოტოები

მარიკა ოხეფაშვილი



მინი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯუმბერ ხუციშვილი ესაუბრება პარტორგანიზაციის მდივანს ციური გოხელაშვილს.



შესვენებისას



მისაბაძნი და სამაგალითონი, — გვითხრა პატივცემულმა სერგომ. კვირაში ერთი დღე ისინი სწავლისგან თავისუფლდებიან და მინდვრად საქმიანობენ. მათზე გაპიროვნებული გვაქვს 2 ჰექტარი ვენახი, 6,5 ჰექტარი ხეხილის ბაღი. თვალს სიამოვნებს მათი მოვლილი ფართობების ნახვა.

შარშან მოსწავლეებმა 4,5 ტონა ლობიო, 10 ტონა ყურძენი და 50.5 ტონა ვაშლი მოიწიეს. შრომის შემდეგ მათ სასარგებლო დასვენებაც იციან, აწყობენ ექსკურსიებს. ახლომახლო ისტორიული ძეგლები სულ ფეხით აქვთ შემოვლილი.

მინი კოლმეურნეობას თავისი საკუთარი თავმჯდომარე ჰყავს — ლენინის ორდენოსანი მექანიზატორის ომარ ხუციშვილის ვაჟი, მეათეკლასელი ჯუმბერ ხუციშვილი. იგი კომკავშირის კასპის რაიკომის პლენუმზე გამოვიდა სიტყვით და რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობას სასიკეთო შრომისაკენ მოუწოდა. მინი კოლმეურნეობებში ისწავლეს ახალგაზრდებმა შრომის სიყვარული, ქვეყნის დოვლათისათვის თავდადებული გარჯა. იქნებ ამიტომაც არის, რომ ბოლო წლებში მოსწავლეთა არც ერთი დანაშაული არ მომხდარა კასპში.

ქვემო ჭალის მინი კოლმეურნეობის ბრიგადირები გია სალამნიშვილი, ნიკო პატარკაციშვილი და რამაზ პაპუაშვილი სამაგალითოდ ხელმძღვანელობენ ბრიგადის წევრებს და არც სწავლაში ჩამორჩებიან. კოლმეურნეობის აღმრიცხველი მარიკა ოსეფაშვილი და ბუღალტერი ბესიკ მესროფაშვილი კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

შარშან 25 მოსწავლე—კოლმეურნე (ქვემო ჭალის მინი კოლმეურნეობებში სულ სამოცდაცხრამეტი მოსწავლეა) სანიმუშო ყოფაქცევისა და ბეჯითი შრომისათვის ფულადი პრემიით დააჯილდოვეს. კოლმეურნეობის წევრებს ფული შემნახველ სალაროში ერიცხებათ და სიმწიფის ატესტატთან ერთად ეძლევათ.

მისაბაძი შრომით გამოირჩევიან ირმა თათრიშვილი, ლალი პაპუაშვილი, გია პეტრიაშვილი, მარინე ჩომახიძე და სხვები.

წლეულს ქვემოჭალელები სამთავისის მინი კოლმეურნეობის წევრებთან სოცშეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი.

საამაყოა, როცა ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი ხვალ-ზეგელი დღის მშენებლები სკოლის ასაკიდანვე იღებენ შრომის საუკეთესო გაკვეთილებს.

**ნანული ბუკია**

# მამის ბიჭი

ნამდვილი ამბავი

სამსახურიდან მისულს ცოლი გახალისებული შემომეგება, ყელზე ბავშვივით ჩამომეკიდა, თვალები სიხარულით უციმციმებდა.

— რა გიხარია ასე, თამრიკო? — ვკითხე მე.

— შვილი გვეყოლება...

— რას ამბობ, ქალო, მეხუთე შვილი უნდა შეგვეძინოს?

— ჰო, მეხუთე, დაშავდება რამე?

— არაფერი, მაგრამ...

ჩემი განზრახვა არ მოეწონა, თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

— ექიმთან წადი დღესვე და...

— არ ხუმრობ, ნუგზარ?

— არ არის მეტი შვილის ყოლა საჭირო...

— შვილი საჭირო არ არის? რას ამბობ!

მეორე დღეს აცრემლებული წავიდა თამრიკო საავადმყოფოში. მეც მთელი დღე უხასიათოდ ვიყავი სამსახურში.

— იყავი საავადმყოფოში?

— კი, მაგრამ ექიმი-გინეკოლოგი ადგილზე არ იყო.

— ნაცნობი ხომ არავინ შეგხვედრია, არავინ გაიგოს რამე.

— არავინ, მხოლოდ სოფლიდან მეზობლის ქალი ცაცა შემხვდა, ჩამაცივდა, ექიმს რატომ ელოდებიო და მეც გავუტყდი...

— ცაცა ისეთი ენაჭარტალაა, დღესვე მივა დედაჩემთან და ჩაუკაკლავს ყველაფერს, ერთს ათად ეტყვის, მერე ნახე მისი ალიაქოთი.

...ღამე ცუდად მეძინა. რაღა არ მესიზმრა. ის იყო მტრედისფრად ინათა, რომ კარზე კაკუნი გაისმა, თანაც მოურიდებელი კაკუნი.

კარი გავაღე. დედაჩემი იყო. ხელში თასმიანი ჯოხი ეჭირა. ეტყობოდა ქვეითად ევლო და გვარიანადაც დაღლილიყო. ოთახში შემოვიდა, ჩემსკენ არც გამოუხედავს, მივხვდი რა ამბავიც იყო.

— თამრიკო, სა... ...ყავი გუშინ?

— არ!...

— საავადმყოფოში რა გინდოდა.

— ?!

— შენი ცოლი სად დადის, თუ იცი? — მომიბრუნდა მე.

ამ ამბის დამალვა აღარ შეიძლებოდა.

— ვიცი, მე თვითონ ვუთხარი...

— რაო, შენ უთხარი, წადი ექიმთანო?

— ჰო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— თამრიკო შენ გინდა შვილის ყოლა?

— კი.

— აბა შენ რამ შეგაწუხა, ოთხი შვილი გყავს და რომელი ერთი გაზარდე, რომელს ჩააცვი და დაახურე, ყველანი ჩვენი უბე-კალთით გამოვზარდეთ, ახლაც ჩვენთან არიან და რატომღა იფიქრე ეგ სისულელე.

სიტყვა შემებრუნებინა, დედაჩემი სულ გაცოფთებოდა, მეზობლებს შემიყრიდა, ყველას ჩემს ამბავს ჩაუკაკლავდა. ამიტომ გაჩუმება ვარჩიე.

— მე ახლა სოფელში მივდივარ, არაფერი გაბედოთ. თამრიკო, სახლიდან ფეხი არ გაადგა.

დედაჩემმა კარი გაიხურა. რეტდასხმულივით ვიჯექი და აღარ ვიცოდი რა მექნა. თამრიკო გამარჯვებულის იერით მიყურებდა...

...იმ დღეს, ცოლი რომ სამშობიარო სახლში წავიყვანე, შინ გვიან დავბრუნდი.

კარი შევაღე და მამაჩემი შემომეგება.

— ახალი ამბავი ხომ არაფერია, ბიჭო?

— ჯერჯერობით არაფერი.

სავსე ჭრელი ხურჯინები კუთხეში მიელაგებინა მამაჩემს. ცოტაოდენი ხილ-ტკბილეული გამოვიყოლე, ვიფიქრე, სუფრას გავმართავთ, ჭამოგვადგება მეთქი. ამ დროს ტელეფონის ზარი გაბმულად აწკრიალდა.

— საავადმყოფოდან ვართ, ნუგზარ, ვაჟის შეძენას გილოცავთ, ბიჭო!

ვერაფერი გავიგე, ვერ მივხვდი ვინ მირეკავდა.

გაზაფხულის პირველ დღეს მეზობლებთან ერთად სასიხარულო სუფრაზე შევხვდი მასუფრის თავში მამაჩემი

ნუჩარი დავარქვიულისაა ჩემი ნაბოლარა

...ახლა... ...ელ კლასში სწავლობს. კარგი მოსწავლეა, ენაჭიკჭიკა და მკვირცხლი. ყველაზე მეტად ბებია უყვარს...

დედაჩემმა თქვა და შეასრულა კიდეც, მანუჩარს თვითონ ზრდის, ავაჟკაცებს, ასწავლის დედაენას.

ყოველ შაბათ-კვირას სოფელში მივდივართ მე და თამრიკო. ვხარობთ დიდი ოჯახით, მშობლებითა და შვილებით...

**ნ. დუმბაძე,**

**შუახევის რაიონულ გაზეთ „დროშის" მუშაკი.**

## სამამულო ომის ექო



# შვილების დამკარგავი დედა

ჩემი ოჯახი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ომმა განსაკუთრებულად დააჩნია თავისი მსახვრალი ხელი. დედაჩემს სამი ვაჟი და მე — ერთი ქალიშვილი ვყავდით და სამივე დაიკარგა. თუმცა სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყო.

— ცოტაც და ყველაფერი რიგზე იქნება, ჩემო ლიზიკო. ჩახვალ შენიანებთან, ეტყვი ყველაფერს, აჩვენებ შვილიშვილს, მეც ამასობაში დავითანხმებ ჩვენებს და შემოდგომაზე ისეთ ქორწილს გავაჩაღებთ, რომ...

— რა ვიცი, გული არ მეუბნება კარგს... არა, შენში არ მეპარება ეჭვი, ვიცი, არც მე არც პატარა ვერიკოს გვერდიდან არ მოგვიცილებ, მაგრამ...

რა იცოდნენ იმათ, რომ ეს უკანასკნელი გამოთხოვება იყო და ამიერიდან ვეღარასოდეს შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

მატარებლის წასვლის შემდეგ მიშა ერთხანს კიდევ იდგა ბაქანზე, უჭირდა ადგილიდან დაძვრა, იგონებდა წარსულ დღეებს, თუ როგორ წავიდა ერთ მშვენიერ დღეს მშობლების დაუკითხავად მოხალისედ ჯარში. იგი თბილისში დატოვეს — კავალერიაში მსახურობდა. აქ გაიცნო დეიდასთან სასწავლებლად ჩამოსული უკრაინელი ლიზიკო, ამას სიყვარული მოჰყვა, შეეძინათ პატარა გოგონა, რომელსაც დედაჩვენის სახელი ვერა დაარქვეს.

ცოლშვილის გაცილების შემდეგ მიშა ყვარელში ჩამოვიდა და გული გადამიშალა. თანაც დედასთან შუამავლის როლი დამაკისრა, ხომ იცი, დაუკითხავად ქალის შემოყვანას ოჯახში შეიძლება მაინცდამაინც დიდი სიამოვნებით არ შეხვდეს და შენ უნდა მიშველოო. მე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ამ ამბავში ჩემი პატარა ძმისშვილის ამქვეყნად არსებობის ფაქტმა ყველაზე მეტად მომხიბლა და ძმას დახმარებას დავპირდი. დედა ერთხანს, როგორც მიშამ ივარაუდა, გაჭირვეულდა, შვილო, მაინც ჯობდა ჩემთვის გეკითხაო. მაგრამ შვილიშვილის, თანაც მოსახელის არსებობამ მასაც მალე მოულბო გული და შვილს უსაყვედურა კიდეც, აღარ უნდა გაგეგზავნა ცოლშვილი ამხელა გზაზე. შემოდგომას რას უცდიდი, ახლავე მოგეყვანაო.

მეორე დღეს კი ომი დაიწყო.

მიშა მაშინვე წაიყვანეს ფრონტზე. იბრძოდა მოსკოვთან, ბელორუსიაში, უკრაინაში, ყირიმში, ქერჩში, სევასტოპოლში. სწორედ აქედან მოვიდა მისი უკანასკნელი ბარათი:

„დედა, ჩვენ მალე დავამარცხებთ მტერს და უვნებელი დაგიბრუნდები. ყველა მებრძოლი ერთი გრძნობით ვართ ანთებული, რაც შეიძლება მალე მოვსპოთ მტერი საკუთარ ბუნაგში და გამარჯვებულები საკუთარ კერიებს დავუბრუნდეთ“.

„დედა, ერთს გთხოვთ ყველას: თუ ცოცხალი ვერ დავბრუნდი, თქვენთან ერთად ცოცხლად მადღეგრძელეთ ხოლმე“.

„დედაჩემო, არ იდარდო, ნუ გეშინია, მართლა და, აქ სიკვდილს კი არ ვაპირებ! ერთი კია; მთელი უკრაინის შემოვლა რომ დამჭირდეს, სანამ ცოლშვილს არ ვიპოვი, არ ჩამოვალ... თბილისში დეიდამისს გავუგზავნე წერილი. ვთხოვე მოეწერა ლიზას მისამართი, მაგრამ წერილი უკანვე დამიბრუნდა, „ადრესატი იქ აღარ ცხოვრობსო“.

ამის შემდეგ მიშასი აღარაფერი გაგვიგია.

უფროსი ძმა — ალექსი 1942 წლის აგვისტოში გაიწვიეს ომში. ერთხანს მოგვდიოდა სამკუთხა ფრონტული ბარათები — დედის ამ ქვეყანასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი სიმები. მერე ისიც შეწყდა, ამაოდ ელოდა დედა რაიმე ამბავს შვილისას. გულში იმედის სხივი ბჟუტავდა, მალე ისიც ჩაქრა. ომის დამთავრებას ბევრი აღარ უკლდა, რომ ალექსის დაღუპვის ამბავი შევიტყეთ.

მესამე ძმას — ილიას ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, ამიტომ ომში არ წაუყვანიათ. ისღა იყო იმ გაჭირვებულ ყოფაში ჩვენი მომხედავი, დედის იმედი. მაგრამ ეს საყრდენიც მალე გამოგვეცალა. ომის წლების სიმძიმეს ჯანსაღი სხეული ძლივს უძლებდა და ავადმყოფი რას გახდებოდა! ომის დამთავრებისთანავე ილიაც დავკარგეთ.

რა დამავიწყებს 1945 წლის 9 მაისს! რადიომ ომის დამთავრების ცნობა რომ გადმოსცა, დედამ გონება დაკარგა. ძლივს მოვაბრუნეთ. მისთვის ომი კარგა ხნის დამთავრებული იყო. ამ ქვეყანაზე აღარაფერი დარჩენოდა სევდისა და დარდის ბარდა. იქნებ პატარა ვერა მაინც გამოჩნდეს საიდანმეო, იტყოდა ხოლმე, ვცადეთ კიდეც მოძებნა, მაგრამ დედა-შვილის კვალს ვერ მივაგენით. დედას მალე გულის მანკი დაემართა და გარდაიცვალა.

მას შემდეგ ხშირად მიდგას თვალწინ ჩემი მშობლების მოშლილი ფუძე, გაციებული კერა. გამიცოცხლდებიან ხოლმე ჩემიანები — სიცოცხლით სავსე და დაუდგრომელი მიშა, მშვიდი და თავშეკავებული ალექსი, ბედის მორჩილი ილია და დედა შვილების საფლავებს დანატრებული ჩემი უბედური დედა...

ახლა ყველაზე უკეთ მესმის მშობლის გულისტკივილი, რადგან მეც დედა ვარ. ახლა ყოველ დღეს იმის ნატვრით ვხვდები, რომ აღარ იყოს ომი! უკვე შვილიშვილებს ვზრდი, და ბავშვებს ხომ ყველაზე უფრო მშვიდობა სჭირდებათ!

**ჯ. ცუკილაშვილი**
პენსიონერი პედაგოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფეხების მოვლა

თანამედროვე მოდური ფეხსაცმელი — განსაკუთრებით სამეჯლისო, საზაფხულო და პლაჟისთვის განკუთვნილი, ღიად ტოვებს ტერფის უმეტეს ნაწილს. მაგრამ, რატომღაც სახესა და თმასთან შედარებით ფეხების მოვლას ნაკლებზარისხოვნად მივიჩნევთ. არადა, ჰიგიენური თუ ესთეტიკური მოსაზრებით, მეტი ყურადღება სწორედ ფეხების მოვლას უნდა ექცეოდეს.

ცხადია, პედიკურს ისე ხშირად არ უნდა ვიკეთებდეთ, როგორც მანიკურს (2-3 კვირაში ერთხელაც კმარა), რადგან არც ფეხის ფრჩხილები იმტვრევა ისე ადვილად, როგორც ხელისა და ლაქსაც მეტ ხანს ინარჩუნებს.

ისევე, როგორც მანიკურის, პედიკურის გაკეთებაც თავადვე შეგიძლიათ, ოღონდ დიდი სიფრთხილე კი გმართებთ: ძველი ლაქი სპეციალური სითხით უნდა მოიშოროთ; ფრჩხილები სწორხაზოვნად მოიჭრათ (რითაც თითებს დაიცავთ, მათზე ფრჩხილების ჩაზრდისაგან.) შემდეგ ფრჩხილებსა და მათ ირგვლივ თხელ კანს შეიზელთ რაიმე კრემით (ჯობს გლიცერინისა). მსუბუქი მასაჟის შემდეგ კი გაიკეთებთ ფეხის 10 წუთიან აბაზანას.

ფრჩხილებზე წამოზრდილი თხელი კანი სპეციალური ინსტრუმენტით ფრთხილად წამოსწიეთ, ოღონდ მისი ამოჭრა საჭირო არ არის, რომ თითში ინფექცია არ შეიჭრას, შემდეგ გაწმინდეთ საპნიან წყალში დასველებული ფუნჯით და დაუბრუნეთ ძველი მდგომარეობა.

თითებს შორის გაიკეთეთ ბამბის ტამპონები და ფრჩხილებზე წაისვით ჯერ უფერული ლაქი, მისი გაშრობის შემდეგ კი — ფერადი.

თუ ფეხი გიოფლიანდებათ, დაიბანეთ შეძლებისდაგვარად 2-ჯერ დღეში, რის შემდეგ ტერფზე, განსაკუთრებით თითებს შორის შეიფრქვიეთ ტალკი, ან სპეციალური პუდრი, ჩვილი ბავშვის გამოყელვისას რომ ხმარობენ ხოლმე. ვინაიდან პუდრი ისრუტავს სინოტივეს, შეაფრქვიეთ აგრეთვე წინდისა და ფეხსაცმლის შიგა ძირებს.

ზაფხულობით ეცადეთ იაროთ ფეხშიშვლებმა, ზამთრობით კი ერიდეთ ხელოვნური ტყავისაგან შეკერილ ფეხსაცმელს. თუ შერჩევის საშუალება არა გაქვთ. სამუშაოზე ყოფნისას მაინც შეცვალეთ უფრო მსუბუქი ფეხსაცმლით

თუ არ გინდათ გაგიჩნდეთ ბებერები, ნუ ატარებთ ვიწრო ფეხსაცმელს, ნურც თქვენით ეცდებით ბებერების მოცილებას — მიმართეთ ხელოსანს.

თუ ფეხები დაღლილობის გამო გიშუპდებათ, გამოყავით თქვენი თავისუფალი დროის ბიუჯეტიდან 15 წუთი მაინც და ზურგზე დაწოლილმა შეაწყეთ ფეხები მომაღლოდ, რამდენიმე ბალიშზე. მეორე საშუალება შეშუპებისა და დაღლის მოსახსნელად, ფეხის აბაზანაა. ჩაყავით ფეხები 30 წამით 40° ტემპერატურის ცხელ წყალში. შემდეგ კი 15 წამით 20° ტემპერატურის ცივ წყალში და ეს პროცედურა სამჯერ გაიმეორეთ.

ჟურნალი „ბოლგარსკაია ჟენშჩინა".

იუმორი

# მაინც ჩვენ ვჯობით

მე და ქუცა ხვეჩელაძე მეზობლები, მეგობრები და კოლეგები გახლავართ: ორივე ხავაჭრო დარგში ვმოღვაწეობთ.

ჩვენი მეუღლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან...

ქუცას ცოლმა ფრანგული მოჰერი იშოვა, ჩემმა — მხოლოდ იტალიური.

სამაგიეროდ, ჩემმა მეუღლემ ლონდონური ჩექმები ჩაიგდო ხელში, ქუცას ცოლმა კი — სადღაც რეიკიავიკში დამზადებული.

ჩემმა მეორე ნახევარმა ჩეხური ბროლის ჭაღი დაითრია, ხოლო ხვეჩელაძისამ — ტერნოპოლისა, რომელიც უფრო ძვირია, მაგრამ ბროლისა არაფერი აცხია, ნამდვილი იმიტაციაა.

ხალიჩების მხრივ ერთმანეთს მაინცდამაინც ვერ გადავაჭარბეთ: ჩვენი თეკურია, მათ კი ირანიდან ჩამოუტანეს.

რაც მართალია, მართალია, ჩვენ ექსტრაკლასის ავეჯი ვერ დავიდგით: რაც უნდა თქვა, იუგოსლავიურია. მაგრამ აი, ხვეჩელაძის ქალბატონი ყველასთან არაბული გრეხილი ავეჯით ტრაბახობს.

სამაგიეროდ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩვენი საგარაკო სახლი, რომელიც საკარმიდამო ნაკვეთში ჩავდგით, შვიდოთახიანი ქვიტკირის შენობაა. ქუცამ კი მარტოოდენ ოთხი ოთახისაგან შემდგარი ორსართულიანი კოტეჯის აგება მოახერხა და ისიც უხარისხოდ.

ოღონდ, გულწრფელად უნდა ვაღიარო და ჩემი მეუღლეც ამ აზრისაა, რომ ტრანსპორტის მხრივ აშკარად მოვტყუვდით: მთელი ამ ხნის განმავლობაში ცოლს ერთი და იმავე ჟიგულით დავასეირნებდი, ქუცამ კი თორმეტი სამამულო და იმპორტული მანქანის გამოცვლა მოასწრო და თავისი მეუღლე ახლა უკანასკნელი მარკის „ვოლგით" დაჰყავს.

სამაგიეროდ, ქუცა ხვეჩელაძეს ექვსი წელი აჰკიდეს, მე კი — მარტო ხუთი.

— ახე რომ, მაინც ჩვენ ვჯობით!

უკრაინულიდან გადმოაქართულა
შ. ამირანაშვილმა

# საჩხერული სამზარეულო



ამერიქენ ძველი დიასახლისის კერძების მომზადების საკუთარი ხელწერა აქვსო, და მართალიც. ცხრა დიასახლისის მიერ მომზადებული საცივი, ნიგვზიანი ხარშო, ლობიო ან ფხალი რომ დაუჭაშნიკოთ, ცხრავე კერძი ერთმანეთისაგან ცოტათი მაინც აქნება განსხვავებული. ზოგს მარილი ექნება მეტი, ზოგს ნაკლები, ზოგს სუნელი ექნება არასაკმარისი ან ასევე მეტი. ზოგი მეტ ძმარს მოიხმარს, ზოგი საერთოდ ძმარს არ იყურებს და მის სანაცვლოდ ტყემლით, ან ტყლაპით მოამზადებს კერძს. ზოგს ცოტა ნიგვზიანი ფხალი გემრიელი გამოუვა, ზოგი ტყუის, ქვეყნის ნიგოზი აქვს და მაინც უგემური გამოსდის.

საჩხერის პარტკომი საშუალო სკოლის დამსახურებული მასწავლებელი თამარ აბაშიძე-ქავთარაძე გვთავაზობს ზემო იმერულ (საჩხერულ) ამუ თავისებური წესით რამდენიმე კერძის მომზადებას.



## საცივი

კარგად გასუფთავებულ-გარეცხილ ინდაურს (ან ქათამს) მოხარშავთ ისე, რომ არ გადაგეხარშოთ. ამოიღებთ, მოაყრით ცოტა მარილს და რომ შეგრილდება დაჭრით (წესის მიხედვით).

ხორცსაფქვავ მანქანაში 4-5-ჯერ გატარებულ 1 კგ. ნიგოზს (ქათმისათვის 500 გრ.) კარგად დანაყულ 5-6 კბილ ნიორს (ან თქვენი ვარაუდით), პუდრად ქცეულ ხმელ ქინძს, უვითელ სუნელს, უცხო სუნელს, მიხაკ-დარიჩინს (ყველაფერი თითო ჩაის კოვზი); 1 კონა ახალ ქინძს (კარგად დანაყულს და მარლაში გაწურულს) და 1 სუფრის კოვზ პურის ფქვილს, აურევთ ერთმანეთში, გახსნით შეგრილებულ ნახარშში და წამოადუღებთ 10-15 წუთის განმავლობაში. საცივი რომ ნაზი და ხასიამოვნო გამოვიდეს, ნიგვზიან წვენს გაწურავთ საცერში, დაასხამთ ქვაბში ჩალაგებულ დაჭრილ ხორცს და წამოადუღებთ. 10 წუთის შემდეგ გადმოდგამთ ცეცხლიდან ქვაბს, გააცივებთ და შემდეგ დაუმატებთ 1-2 სუფრის კოვზ თეთრ ძმარს.

## ქოთნის ლობიო (ამოლესილი)

გარეცხილ ლობიოს მოათავსებთ ქოთანში. შეავსებთ ქოთანს პირამდე წყლით და ხარშავთ ნელ ცეცხლზე. შუა ხარშვის დროს ქოთანში ლობიოს ჩაუმატებთ ცოტა ტყლაპი და 1-2 თავი დაჭრილი ხახვი. როდესაც მოიხარშება, ამოლესეთ და შეანელეთ ნივრით, პიტნით, ცერეცოთი და ცოტა ნედლი ხახვით. (მარილი გემოვნებით).

## შემწვარი წიწილი ნიორწყლით

კარგად გასუფთავებული, მარილწასმული მსუქანი წიწილი ჩადეთ გახურებულ კეცებს შუა, (კეცები შეიძლება გახურდეს გაზქურაშიც). კეცს ზემოდან დააყარეთ ნაკვერჩხალი (ან შედგით გახურებულ გაზქურაში) და შეწვით; შემწვარი წიწილი რომ გაცივდება, დაჭერით და ჩაალაგეთ ნიორწყალში. (1 თავი ნიორი დანაყეთ მარილთან ერთად და გახსენით ნახევარ ლიტრ ჩვეულებრივ ხამ, ან ანადუღარ ცივ წყალში).

## იმერული ხაჭაპური

საფუარზე მოზელილ კარგად ამოსულ პურის ცომს გააბრტყელებთ, ცომის გულში მოათავსებთ ყველის გუნდას. ცომს მოუკრავთ პირს, გააბრტყელებთ, თუ გნებავთ ზემოდან გადაუსვამთ ათქვეფილ კვერცხს, დაჩხვლიტავთ ჩანგლით ან განსაკუთრებული ჩხირით, მოათავსებთ გახურებულ კეცზე, დაახურავთ ასევე გახურებულ კეცს, რომელსაც დააყრით ზემოდან ნაკვერჩხალს და გამოაცხობთ. (შეგიძლიათ კეცები გაზქურაშიც გაახუროთ და გაზქურაშივე გამოაცხოთ).

სახაჭაპურე ყველი დაალბეთ გამდინარე ცივ წყალში ან ხშირად უცვალეთ წყალი. თუ ძალიან მარილიანია 5-10 წუთი ჩაალბეთ ცოტა ძმრიან წყალში. მარილგაცლილი, დამბალი ყველი კარგად გაწურეთ და შეურიეთ რამდენიმე კვერცხი. ხასურველია ცომის გუნდაზე ოდნავ მეტი იყოს ყველის გუნდა. თუ არ არის ამის საშუალება, მაშინ აიღებთ თანატოლ გუნდებს.

## ხაპიჭკინა

ასევე საფუარზე მოზელილ ცომს გააბრტყელებთ, შუა გულში ჩადებთ ერთმანეთში არეულ დანაყულ ნიგოზს და კარგად მოხალულ ფქვილს, (მარილით შეზავებულს). გადაკეცავთ ცომს ნახევარმთვარის მხგავსად, შემოუკეცავთ ნაპირს ისე, რომ ცომიდან გული არ გადმოცვივდეს და გამოაცხობთ კეცზე ან გაზქურაში.

---

ყდის პირველ გვერდზე — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნინო ძინძიბაძე — დადიანი; მეოთხეზე — შრომული კერამიკა. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი


მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაშრინდაშვილი, ზ. კვაჰაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი) ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია



საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 5.08.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 09. 86 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.




Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000. შეკვ. 1867 უე 05151



ძველი თბილისის პეიზაჟიდან ვ. ბანბიურის ფოტო











ფასი 30 კაპ.